№ 72 შაბათი, 4 აპრილი 1909 წ. № 72

# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ ხაზისა 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოს 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

THE ROYAL VIO

TRADE MARK

ნიკიტინის ცირკის შენობაში

ყოველ დღე წარმოდგენები

დასაწყისი საღამოს $8^1/_2$ საათზე

შაბათს, 4 აპრილს, და შემდეგ დღეებში

მეორე სერია

სულ ახალი პროგრამა

25 ნომერი 25 — 25 ნომერი 25

კვირაობით და უქმეობით დასაწყისი 12 საათზე.

დიდი საოჯახო წარმოდგენები

რომელზედაც ყველა დიდს შეუძლიან თან უფასოდ შემოიყვანოს ბავშვი, ათი წლისაზე არა დიდი.

ა ნ ო ნ ს ი:

სამშაბათს, 7 აპრილს,

✦ სრულიად ახალი პროგრამა ✦

ძველი გამოიცვლება.

(1—ნას.—1)

იულია დავითის ასული და სოლომონ გიორგის ძე მიქელაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ მათის ძვირფას და დაუვიწყარ შვილის, მოსკოვის უნივერსიტეტის

სტუდენტის გიორგის

გარდაცვალების წლის თავზე, გარდახდილი იქნება საფიჩხიის ეკლესიაში წირვა და შემდეგ პანაშვიდი 11 საათზე 5 აპრილს. (1—კვ.—1)

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქვრივი

მარიამ დავითის ასული პაპიტაშვილისა,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის შვილები სტუდენტები დავით, ალექსანდრე და ვასილ ერმალაის ძენი და ასული ლიდა, მაზლი მისი ილია სვიმონის ძე პაპიტაშვილი.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს $6^1/_2$ საათზე, გამოს ნება მიცვალებულისა გორის ღვთის ეკლესიაში ორშაბათს, 6 აპრილს. (1—178—1)

ზუბალაშვილის სახალხო სახლი

შაბათს, 4 აპრილს, ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველ სექციის მიერ სცენის მოყვარეთა მონაწილეობით ნ. ვ. გოგოლის დაბადებიდან ასი წლის იუბილეის სადღესასწაულოდ წარმოდგენილი იქნება:

„რევიზორი“

კომედია 5 მოქმ. ნ. ვ. გოგოლისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი ე. ჩერქეზიშვილისა, გამრეკელი, თამროშვილი; ბ-ნნი კ. შათირიშვილი, ზურაბიშვილი, გოცირიძე, ადამიძე, რომანიშვილი, დუმბაძე და სხვანი.

შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება კვირა საღამოს, 12 აპრილს. მზადდება წარმოსადგენად: „უდანაშაულოდ დასჯილნი“ ოსტროვსკისა, «პირველი და უკანასკნელი კოცნა» გესი და „სიძე-სიმამრი“.

ქართული სახალხო წარმოდგენების სექცია დაბეჯითებით სთხოვს საზოგადოებას, სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. იმედია წესიერების დაცვაში თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

ბილეთები გაიყიდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში ყოველ დღე 12—2 და 6—8 საათამდის. რეჟისორი კ. შათირიშვილი. (2—უ—2)

წარმოდგენა № 9. ქართული თეატრი წარმოდგენა № 9.

კვირას, 5 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება:

ძლიერ დაკლებულის ფასებით ნაშუადღევის 12 საათზე.

დ ა-ძ მ ა

დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

ადგილების ფასი: ლოჟები 5 მ.-დან 2 მ.-მდე, პარტერი 1 მ. 50 კ.-დან 60 კ.-მდე, გალერეია 40 კ.-დან 20 კ.-მდე, მოწაფეთათვის 40 კ.

დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე.

ოთხშაბათს, 8 აპრილს, 1909 წ. ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ბენეფისი ვასო აბაშიძისა

I. შერცხვენილი ქმარი — კომ. 3 მოქმედ. მოლიერისა თარგ. გ. თუმანიშვილისა.

II. ქორწილის წინ — ოპერეტა 1 მოქმედ. მუზ. ყიუნასისა თარგ. ვ. აბაშიძისა.

III. მეჯლისი იტალიელებით — ოპერეტა 1 მოქმედებად მუზ. ოფენბახისა თარგ. ვ. აბაშიძისა.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

✦ საოპერო ორკესტრი პ. ფალიაშვილის ლოტბარობით ✦

ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს $8^1/_2$ საათზე.

რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. რეჟისორის თანაშემწე ვ. ურუშაძე.

ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

ქართველ ქალთა საყურადღებოდ

კვირას, 5 აპრილს, საღამოს 7 საათზე, სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქუჩაზე) დანიშნულია ტფ. ქართველ ქალთა წრის კრება. კრება განიხილავს წლიურ ანგარიშს და კომისიის მოქმედებას. კრებას წარედგინება ახალი გეგმა მომავალ მოქმედებისა. მსჯელობას იქონიებს აგრეთვე აკაკის ფონდის შესახებ. დასასრულ აირჩევს კომისიის ახალ წევრებს. ვთხოვთ ქართველ დედებს ბლომად დაესწრნენ ამ საჭირო კრებას და ამით ხელი შეუწყონ მხნე პირების კომისიაში ამორჩევას.

(2—უ.—1) ქართველ ქალთა წრე.

კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 31)

ექიმი ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

ექიმი ი. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სასულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

ექიმი ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ექიმი კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

ექიმი მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—46)

ექიმი ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (ნ—91)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

ექიმები კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდერონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა. (0—586—114)

ექიმი კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, სამარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—ფ.—95)

ახლად გახსნილი

ტფილისის

კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. ფეოდოროვი—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

ვ. დ. ღამბაშიძე—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.

გ. მ. მაკაროვი—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, $11^1/_2$—$12^1/_2$ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

ნ. მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.

ი. გ. გომართელი—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

ვ. ს. მუსხელიშვილი—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი.

ა. გ. მირზოევი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

ნ. გ. ჭიჭინაძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.

მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—27)

ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.

„კოლხიდაში“

იყიდება პარიზიდან გამოწერილი იონჯა (провансальская люцерна) შემოწმებული აბრეშუმის გრენი საიმედო ფირმებისა „პასხალიდი“ და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე გ. მ. ჩიკვაძისაგან. (20—ნ—18)

## ტფილისი, 4 აპრილი

სამწუხარო ამბები მოვიდა ოსმალეთიდან: კარგად დაწყებული და დიდი საქმე ოსმალეთის ხალხთა პოლიტიკურ მონოზიდან განთავის- [illegible] დასნეულებულ სახელმწიფო ორგანიზმის, კრიზისი.

ვერ ვიტყვით, რომ ეს კრიზისი მოულოდნელი იყო: რაღაც სასწაულებრივი იყო ოსმალეთის რევოლიუცია, ხოლო სასწაული ისტორიამ არ იცის და თავისას მაინც აილებს... დიდი საქმე ოსმალეთის პოლიტიკურ წეს-წყობილების გარდაქმნისა მოახდინა ოსმალთა ინტელიგენციის თავგანწირულ მებრძოლთა ჯგუფმა—ახალგაზდა ოსმალთა პარტიამ,—მოახდინა უცბად და მწყობრად, სისხლის დაუღვრელად და რადიკალურად იმის მეოხებით, რომ თავის მხარეს გადიბირა ჯარი. განათლებული აფიცრობა სულ ახალგაზდა ოსმალთ ეკუთვნოდა და ეს აფიცრობა წარუძღვა წინ ოსმალეთის მხედრობას. ძველი რეჟიმი, რომლის მთელი ძალა იგივე ჯარი იყო, მაშინვე შიშმა შეიპყრო და იგი ხელგაუნძრევლად დანებდა ახალ ძალას. ასე ადვილია ჯარების შემწეობით რევოლიუციის მოხდენა, მაგრამ, საუბედუროდ, აქვე იმალება საშიშროება, რომელსაც ისტორიაში პრეტორიანობა ეწოდება: ერთხელ ჩარეული პოლიტიკაში ჯარი, გემოს იღებს და ადვილად ველარ შორდება ამ ასპარეზს. დღეს ერთი პარტია გადიბირებს ჯარს, ხვალ მეორე, ზეგ ავანტიურისტი გამოჩნდება ვინმე და თავის განზრახვათა ასრულებისთვის მოიხმარს ამავ ძალას. ამის მაგალითი ბევრია ისტორიაში და სამხედრო პრონუნციამენტო ხშირად გამხდარა ქვეყნის დამღუპველ ფაქტორად. მტკიცე და შეურყეველი ის რევოლიუცია გამოდგარა პირიქით, რომელიც შეგნებულ ხალხს მოუხდენია თავისავე ძალით და პირდაპირის მონაწილეობით.

ვინ მიიმხრო ეხლა ოსმალეთის ჯარი და ვინ შეაფერხა მარჯვედ და წყებული განმათავისუფლებელი მოძრაობა? ახალგაზდა ოსმალთა პარტიის ცენტრალურმა დაწესებულებამ—„ერთობის და პროგრესის კომიტეტმა“—არა თუ რევოლიუცია მოახდინა, არამედ რეფორმების განხორციელებაც იკისრა. იმის რჩევით შედგენილ იქმნა მთავრობა, იმის მხურვალე მონაწილეობით მოხდა არჩევნები პალატაში; მაგრამ კომიტეტი ამით არ დაკმაყოფილდა და პირდაპირ ერეოდა ყველა სახელმწიფო საქმეში, თვით გარეშე პოლიტიკაშიაც; მაგალითად, ბოლგარია—ოსმალეთის ურთიერთობის გამწვავების დროს, კომიტეტმა პირდაპირი მოლაპარაკება გამართა ბოლგარიის მინისტრებთან. კომიტეტი მეორე მთავრობად გადაიქცა და თავის დიქტატურის გამეფებას ელტოდა. ესეთი მიმართულება ახალგაზდა ოსმალთა პოლიტიკისა ნაკარნახევი იყო კეთილის სურვილითა და ფიქრით: „ერთობისა და პროგრესის კომიტეტს“ ჰსურდა სამუდამოდ უზრუნველ ეყო ახალი წესწყობილება შესაფერისის რეფორმებით. მაგრამ, ასეთმა გამოცხადებულმა დიქტატურამ თავიდანვე გამოიწვია უკმაყოფილება ოსმალთა პროგრესიულ ელემენტებშიაც კი. ოსმალთა პროგრესიულს საზოგადოებაში ორი საწინააღმდეგო მიმართულება ჰსუფევს: უნიონისტთა და ფედერალისტთა. პირველთ ეკუთვნიან ახალგაზდა ოსმალნი; იმათ აზრით, ოსმალეთი მტკიცე ცენტრალისტური სახელმწიფო უნდა იქმნას, სადაც ყველა მოქალაქეთ თანასწორი უფლება მიენიჭებათ; არც ერთ უცხო ერს ოსმალეთის ტერრიტორიაზე ავტონომია არ მიენიჭება, რადგან დეცენტრალიზაციის გზაზე დადგომა ოსმალეთის დანაწილების და მოსპობის დაწყება იქნებაო.

გავახსენებთ ჩვენ მკითხველთ ამას წინად „დროებაში“ დაბეჭდილ უსახლკაროს საინტერესო ფელეტონებს, საიდანაც დაინახავდნენ, თუ როგორ გადააჭარბეს ოსმალეთის პატრიოტებმა ცენტრალისტურ მისწრაფება-ლტოლვილებაში: ბოლოს და ბოლოს ცენტრალიზმის მოტრფიალეთ ის აზრი ასულდგმულებს, რომ ყველა პატარა ერი ძალით გააოსმალოს. ოსმალთა ინტელიგენციის მეორე ნაწილი კი ამის წინაალმდეგ ჰფიქრობს, რომ ოსმალეთის სახელმწიფოს მთელი მომავალი დამოკიდებულია ეროვნულ პრობლემის რადიკალურ გადაწყვეტილებისაგან. ესენი — ლიბერალები, ახრარიები, რომელთ პრინცი საბაჰედინი მეთაურობს— მომხრენი არიან ეროვნებათა ავტონომიისა, ოსმალეთის სრულ ფედერატიულ სახელმწიფოდ გადაქცევისა. ჩვენს გაზეთში უკვე გვქონდა ამათზე ბაასი და ვნახეთ, რომ ესენი უფრო მართალსა და სამართლიანს გზას ადგანან, რადგან, ჩვენის აზრით, ისეთ აჭრელებულ სახელმწიფოში, როგორიც ოსმალეთია, წარმოუდგენელია მშვიდობიან მოქალაქობრივ ცხოვრების განვითარება ცენტრალისტურ მართვა-გამგეობის დაცვით... მაგრამ დიდათ სამწუხაროა, რომ ამ განხეთქილებამ ეხლავ იჩინა თავი ასე მწვავედ, რომ პროგრესიულმა ელემენტებმა ვერ მოახერხეს შეთანხმება, რათა ურთიერთის მოთხოვნებში დათმობით ხელი შეეწყოთ ერთსულოვან მოქმედებისათვის საერთო მტრის წინააღმდეგ. ყოველ ეჭვს გარეშე იყო, რომ ეს საერთო მტერი პროგრესისა —ძველი ოსმალეთი, ძველი რეჟიმი —დროებით გაჰყუჩდა და მოხერხებულ დროს შეეცდებოდა კონტრრევოლიუციის მოხდენას. ასე ადვილად „ძველი“ არ უთმობს ადგილს „ახალს“, იგი სიბნელეში ამზადებს შეთქმულებას და ოსმალეთის სინამდვილეში, ოსმალეთის პირობებში, სადაც ხალხი ათას წლის მონობისა და უმეცრებისაგან გახრწნილია, „ძველი“ მით უფრო ადვილად იკაფავს გზას შეთქმულებისაკენ, რომ „ახალში“ ერთსულოვნება არ ჰსუფევს.

ძველი ოსმალეთის სათავეში, როგორცა სჩანს, ოსმალთა სამღვდელოება, სასულიერო წოდება დამდგარა. მაჰმადიანთა სახელმწიფო წესწყობილება სანახევროდ მაინც თეოკრატიულია. იქ მეფე, ხელმწიფე პირველი მღვდელ-მთავარია, რომელიც იცავს მაჰმადის რჯულსა და კანონს. იურიდიულ-სოციალური ყოფაც უმთავრესად დაფუძნებულია შარიატზე—სასულიერო კანონსა და ადათებზე, რომელნიც შედიან ყურანში ან ჩვეულებათ, ადათად აქვთ მიღებულ-გამოცხადებული. ესეთი წესწყობილება დიდ სულიერ და ნამეტურ მატერიალურ ძალას აძლევს ხელში სასულიერო წოდებას. მის ხელშია სკოლა, სასამართლო და სხვა დაწესებულება, რომელნიც ჰქონიან ულემთა კავშირის ქონებრივ კეთილდღეობას, და რაღა საკვირველია, რომ ეს წოდება არაფერს არ დაზოგავს ახალ, ევროპიულ კანონმდებლობის წინაალმდეგობაში,—იმ კანონმდებლობისა, რომელიც დაფუძნებულია საერო უფლებაზე და განადგურებას უქადის თეოკრატიულ წესწყობილებას. სასულიერო წოდება, მართლაც, კონსტიტუციის პირველ დღიდანვე შეუდგა კონტრრევოლიუციის ნზადებას. მისი მუშაობა გაადვილა, როგორცა ვთქვით, „პროგრესისა და ერთობის კომიტეტის“ დიქტატურულმა პოლიტიკამ და პროგრესიულ ბანაკში მწვავე განხეთქილებამ. მაგრამ, ეს კიდევ ცოტა: ოსმალეთის განთავისუფლების საქმეს დიდათ შეუშალეს ხელი აგრეთვე გარეშე სახელმწიფოებმა. რევოლიუციის მეორე დღესვე ბულგარიამ აღიარა დამოუკიდებლობა, ავსტრიამ შეიერთა ბოსნია-ჰერცოგოვინა. ამ ფაქტებმა შეურაცხჰყვეს ოსმალთა თავმოყვარეობა, ხოლო რეაქციონერებმა ისარგებლეს შემთხვევით და ძველი რეჟიმის ბრალი —სახელმწიფოს დასუსტება და დაქსაქსვა—ახალ რეჟიმს მოახვიეს თავზე.

შემდეგ აღსანიშნავია ასეთი გარემოებაც: ოსმალეთის განახლება ხდება სწორედ იმ დროში, როცა ევროპაში სასტიკი ბრძოლა სწარმოებს გეგემონიისათვის. იბრძვიან გერმანია და ინგლისი და მთელი ევროპის გარეშე პოლიტიკა ამ ღერძის გარშემო ტრიალებს ამ ჟამად. ძველი ოსმალეთი გერმანიის ბანაკში იდგა, ხოლო ახალმა მოიწადინა გერმანიის გავლენიდან გამოსვლა და ინგლისთან დაახლოვება. ახალგაზდა ოსმალნი არ ჰფარავდნენ თავის სიმპატიებს და ინგლისიც დიდის სიხარულით მიეგება ოსმალეთის განახლებას; მფარველობას უწევდა და ჰპირდებოდა. გერმანიას, რასაკვირველია, ახდილად არ გამოუთქვამს თავისი უკმაყოფილება. „განათლებულ ევროპიულ სახელმწიფოსათვის“ სირცხვილი იქნებოდა მონობისა და ავტოკრატისათვის დაეჭირა მხარი საქვეყნოდ, მაგრამ ფარულად იგი, ეჭვს გარეშე უნდა იყოს, ენერგიულად ეხმარებოდა რეაქციას, რომელიც ახალგაზდა ოსმალთა საწინააღმდეგო კონტრრევოლიუციას ამზადებდა...

ამ ვითარებაში, ამ პირობებში, რომელნიც ჩვენ აღვნიშნეთ, არაა მოულოდნელი ის სამწუხარო ამბები, რომელიც ოსმალეთიდან მოდის უკანასკნელ დღეებში. კრიზისი ერთობ მძიმეა, ძნელ პირობებში ხდება და ვერავინ ვერ იწინასწარმეტყველებს, სად და როგორ გათავდება. შეიძლება დროებით მშვიდობიანობაც ჩამოვარდეს, აჯანყებული ჯარები დაამშვიდონ და შეთქმულება მოსპონ, მაგრამ რეაქციის დამხობა ადვილი არაა, როცა მას ხელს უწყობს ხალხის უმეცრებაც და მრავალი ხელშემწყობი პირობაც.

## არეულობა ოსმალეთში

(ვატ. დეპ. სააგენტოს დეპეშები)

**სტამბოლი**. როგორც ხმა დადის შინაგან საქმეთა მინისტრად ნიშნავენ. პალატის ახალ პრეზიდენტს ისმაილ-ქემალს.

სროლამ ჰაერში პირველ აპრილს მთელ დღეს გასტანა სროლა ცოტა საღამოთი შესწყდა. უცხოელები მიდიან სტამბოლიდან. გემები სავსეა: პარლამენტის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. პარლამენტის დათხოვნას ერიდებიან, მაგრამ შეიძლება პარლამენტის სესსია დროებით შესწყვიტონ, რადგან ბევრი დეპუტატი გაიქცა. პარლამენტში შეიკრიბა 90 დეპუტატი. სხდომა დაიწყო უხუცეს დეპუტატების თავმჯდომარეობით. ხანგრძლივ კამათის შემდეგ დაადგინეს დაიშალნენ, რადგან პალატაში სხდომისთვის საკმაო რიცხვი არ იყო. ამასთან დაადგინეს, ზართები დაუგზავნონ დეპუტატებს და სთხოვონ, შეიკრიბნენ 2 აპრილს დი-

ლის 11 საათზე. ახალგაზრდა ოსმალთა დეპუტატებს კერძო სახლში ცალკე სხდომა ჰქონდათ. სულთნის ბრძანებით დიდ ვეზირს თევფიკ-ფაშას ევალება შემოიღოს შარიატი და დაიცვას კონსტიტუცია.

**ვენა.** „კორ.-ბიუროს" ატყობინებენ სტამბოლიდან: ქალაქი თითქმის მთლად დამშვიდდა. მოისპო ჯარის დიდისა და პატარა რაზმების მიმოსვლა. აღარ ისვრიან აჰერში ჯგუფად თოფებს, მოისპო დემონსტრაციები. დამშვიდებას უმთავრესად ხელი შეუწყო ახალ კაბინეთის შედგენამ და მაჰმადიანთა სამღვდელოების მეცადინეობამ. სამღვდელოების გავლენა ხალხზე მეტად დიდია.

**ბერლინი.** ავტორიტეტულ წრეებში ფიქრობენ, რომ გაზეთების ის ცნობა, რომელიც ამბობს, რომ ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგი მოძრაობა ინგლისმა და რუსეთმა გამოიწვიაო, მოკლებულია ყოველსავე საფუძველსაო. მოძრაობა აღმოცენებულია ნამდვილ ოსმალურ ნიადაგზე და დამყარებულია სარწმუნოებრივსა და პოლიტიკურ საფუძველზე. ჯერ-ჯერობით ძნელია ყველა იმის გათვალისწინება, რაც მოხდა, მხოლოდ ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ სულთანი კონსტიტუციას არ გააუქმებს. სახელმწიფოთა ელჩებმა ამას წინად კიდეც აცნობეს თავ-თავიანთ მთავრობებს, რომ ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ დიდი მოძრაობააო. მოძრაობამ მაინც უცბად იფეთქა.

„ნაციონალ-ცეიტუნგ"-ი ემყარება სარწმუნო წყაროებიდან მიღებულ ცნობებს და არკვევს ოსმალეთის დღევანდელ მდგომარეობას, სასტიკად ჰკიცხავს „ლიბერალურ კავშირს" და ამბობს, რომ ევროპის მშვიდობიანობის თვალ-საზრისით სასურველია, რომ მართვა-გამგეობის საქმე ახალგაზდა ოსმალთა ხელში იყოს, ვინაიდან ისინი ოსმალთა პოლიტიკურ გაერთიანების იდეის მატარებელნი არიანო. „ლიბერალთა კავშირის" მისწრაფებათა განხორციელება მომასწავებელი იქნება აღმოსავლეთის საკითხის გამწვავებისა, ვინაიდან კავშირის მიზანია ოსმალეთის სახელმწიფოს დანაწილება.

**ვენა.** „კორ.-ბიურო"-ს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: პირველ აპრილს დილით სამხედრო სამინისტროში მივიდა ახალი სამხედრო მინისტრი ეთხემ-ფაშა, რომელსაც ახლდა ექვსი სალდათი, სხვა და სხვა პოლკის დელეგატები. ჯერ არავითარი ცნობა არ არის მიღებული იმის შესახებ, რომ ქრისტიანებისა ანუ უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთათვის რაიმე ზარალი მიეყენებინოთ. მეამბოხეებმა შეადგინეს სია, სადაც შეიტანეს ასამდე სამხედრო და სამოქალაქო უწყების პირი, მათ შორის ყოფილი დიდი ვეზირი. მეამბოხენი თხოულობენ ამ პირთა ან დახვრეტას ან მათ ხელში გადაცემას. იმედი აქვთ, რომ მეამბოხენი უარს იტყვიან ამ მოთხოვნილებაზე.

**სტამბოლი.** დიდმა ვეზირმა გუბერნატორებს ცირკულიარული დეპეშები დაუგზავნა. დიდი ვეზირი სწერს: მოხელეებს ევალებათ ყველა საქმესა და მოქმედებაში იხელმძღვანელონ შარიატის წმინდა კანონებით და ეცადნენ, თანახმად კონსტიტუციისა, დაამყარონ კარგი ურთიერთობა მცხოვრებთა ყველა კლასებს შორისაო

გაზეთების სიტყვით, სტამბოლში არეულობის დროს მოჰკლეს და დასჭრეს 50 კაცი. გუშინ, ჰაერში სროლის დროს, ტყვიები ჰხვდებოდა საფრანგეთის საელჩოს, რუსის საელჩოს კანცელარიას და მრავალ დიპლომატის სახლს. საფრანგეთის ელჩი პერაზე, ქუჩაში, შიგ შუა სროლაში მოჰყვა. მზის ჩასვლისას სროლა შესწყდა და დღეს აღარ განახლებულა.

მთავრობამ პროვინციის მოხელეებს დეპეშით ასე აცნობა სტამბოლში მომხდარი ამბები: „სულთანმა გაიგო, რომ რამდენიმე სალდათი შეიკრიბა და მოითხოვა შარიატის მტკიცედ ასრულება და იმ აფიცრების გადაყენება, რომელნიც ანტისარწმუნოებრივ აზრებს უნერგავდნენ სალდათებს. სულთანმა საქმე გაარჩია და ბრძანება გასცა, ხსენებული აფიცრები გადაეყენებინათ. ამის შემდეგ სალდათებმა ილოცეს და დაიშალნენ. ნიშნად სიხარულისა, ჰაერში თოფები დასცალეს."

არეულობის დროს აიკლეს ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის სადგომი, ახალგაზდა ოსმალთა გაზეთის „ტანინ"-სა" და „შურაი-მეტის" რედაქციები, აფიცერთა კლუბი და მაჰმადიან ქალების სადგომი.

მოვიდა ცნობები სომხების აკლების შესახებ. იუწყებიან აგრეთვე, რომ მედინასა და ბუ რბეკირში არეულობებია, რომ დრუზები ჯანყებულან, რომ ალბანელი რაზმები უსკიუბის რაიონში გაჩენილან და რომ ბოლგარებს უსკიუბში მანიფესტაციები გაუმართავთ.

**ვენა.** „კორესპონ.-ბიუროს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ახალგაზრდა ოსმალთა კლუბის აკლების დროს ნაწილი არქივისა გაანადგურეს, ნაწილსაც კონფისკაცია უყვეს. გაზეთების ცნობებით, არქივში უნახავთ ახალგაზრდა ოსმალთა სახელის გამტეხი ბევრი საბუთი. ელჩები დიდ ვეზირთან იყვნენ, რომელმაც შინაურ ვითარების გამო დამამშვიდებელი პასუხი მისცა მათ. თევფიკ-ფაშამ განსაკუთრებული ყურადღება იმას მიაქცია, რომ ადრიანოპოლისა და სალონიკის ჯარი არავითარ შიშს არ იწვევსო.

**სოფია.** ბოლგარიის სააგენტო აცხადებს: სტამბოლში მომხდარმა ამბებმა ძალიან დააფიქრა მთავრობა, მაგრამ მაინც ყოველ საფუძველს მოკლებულია ხმები მობილიზაციისა და აგრესიულ პოლიტიკის შესახებაო.

**ქაირი** (ეგვიპტე). ოსმალეთში მომხდარ ამბებისა გამო, პოლიციას ებრძანა, სწრაფად ჩააქროს ხოლმე ადგილობრივ მცხოვრებთა ყოველივე მანიფესტაცია,

**სტამბოლი.** დეპუტატთა პალატა. შეიკრიბა ორასზე მეტი დეპუტატი. არ არის თავმჯდომარე, ორი მისი თანაშემწე და სხვა გამოჩენილი ახალგაზდა ოსმალთა მოღვაწენი. საერთოდ, ყველა გულ-გატეხილია.

$2\frac{1}{2}$ საათზე მოხდა დახურული კრება თავმჯდომარეობდა უხუცესი დეპუტატი ნაჯი-ბეი. ახალგაზდა ოსმალთა პარტიას გაეგზავნა შეკითხვა, მართალია თუ არა ახმედრიზას გადადგომაო. 2 ს. 50 წუთზე კრება შესწყდა. ულემი დეპუტატები მხიარულად არიან. 31 მარტს მომხდარი არჩევანი თავმჯდომარისა (130 ხმით იყო არჩეული) უკანონოდ იქმნა ცნობილი. 3 საათსა და 4 წუთზე განაახლეს დახურული კრება. არჩევენ მემარჯვენეთა მიერ შეტანილს ტექსტს მოწოდებისას ხალხისადმი. მოწოდებაში ნათქვამია, რომ კონსტიტუცია დაცული იქნება და თხოულობს დამშვიდებას. პალატაში გამოცხადდნენ გარეშე საქმეთა, ვაჭრობისა, მრეწველობისა და განათლების მინისტრები. კრებაზე შეუშვეს ხალხი და გაზეთების კორესპონდენტები.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

3 აპრილი

## სპარსეთი

**თეირანი.** თურქმენ-იომუდებმა ალყა შემოარტყეს ქალაქ ასტრაბადს. მოხდა შეტაკება რევოლიუციონერებთან. ბევრი მოკვდა და დაიჭრა. პანოვი გაიქცა. გადარჩენილი რევოლიუციონერები, მცხოვრებთაგან დევნილნი, იძულებულნი გახდნენ შეჰფარებოდნენ რუსეთის საკონსულოს. საკონსულოში თავი მოიყარეს ახლო მახლო სოფლების და ქალაქის მცხოვრებლებმა ქალებითა და ბავშვებით. ხალხი შეშინებულია. შიში აქვთ, ვაი თუ თურქმენებმა აპოგვხოცონო.

**თეირანი.** ბახტიარები ისპაჰანში უყრიან თავს ცხენოსნებს, საიდანაც თეირანისკენ აპირებენ გალაშქრებას. თავრიზის ენჯუმენმა ადირბეიჯანის საბაჟოს 50,000 თუმანი ჩაიგდო ხელში. საგათ-ულ-ისლამის დეპეშით მოლაპარაკებამ შაჰის მინისტრებთან უნაყოფოდ ჩაიარა. კონსულებისა და უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომებისთვის თავრიზში ფქვილის შეტანაზე ნებადართვის შესახებ სპარსეთის მთავრობამ უარი განუცხადა მისსიებს. ბუშირში ნაციონალისტები შეეცადნენ საბაჟოების შემოსავლის ხელში ჩაგდებას, რამაც ინგლისელების მხრივ სწრაფი და მხნე ზომები გამოიწვია. თაიშნელები ავაზაკებად გამოაცხადეს. ინგლისელებმა ნაპირზე გადმოსხეს რაზმი, რომელიც უზრუნველჰყოფს საბაჟო გადასახადების შეტანას ინგლისის ბანკში.

**ლონდონი.** თავრიზიდან რეიტერს ატყობინებენ: რახიმ-ხანის მიერ ქალაქის წინააღმდეგ გაგზავნილი ცხენოსანთა რაზმი სათარ-ხანმა უკუაგდო. აგრეთვე უმნიშვნელო ზიანი მოუვიდა ქალაქს ენჯუმ-დოვლეს ზარბაზნების სროლისაგან.

## საზღვარ-გარედ.

**პეკინი.** ჩინურ გაზეთების სიტყვით, ირჩევა საკითხი იმის შესახებ, რომ ვეიხაი-ვეი უკან დაუბრუნონ ჩინეთს. ამავე გაზეთების ცნობით, იაპონიამ აღიარა უფლება ჩინეთისა რატასის კუნძულებზე იმ პირობით კი, რომ მას აუნაზღაურონ ის ხარჯი, რომელიც იაპონიამ გასწია ამ კუნძულების მოსაწყობად.

**ბერლინი.** გერმანიის კოლონიების აღმოსავლეთ ნაწილში აფრიკაში, მუანზას ოლქში, აღმოჩენილა, რომ 30 კაცი შავი ჭირისაგან მომკვდარა.

**მექსიკა.** ბელარდენის ქვა-ნახშირის მაღაროში, კოუგაილას პროვინციაში, გასულ შაბათს მოხდა სერიოზული უწესოება, რაიც გამოიწვია საეკკლესიო პროცესიის აკრძალვამ. ბრბომ ქვები დაუშინა ქალაქის თავის სახლს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდა. პოლიციამ ვერ შესძლო წესიერების აღდგენა და უკან დაიხია. პოლიციელთაგან დაიჭრა ექვსი. შემდეგ დაბარებულ ჯარის საშვალებით ჩააქრეს არეულობა. 14 კაცი უწესოების მეთაური სიკვდილით დასაჯეს.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა იზვოლსკიმ საზღვარ გარედ წასვლა დროებით გადასდო.

**ვარშავა.** აპრილის 1-ს, საღამოთი გროხოვსკის ქუჩაზე რევოლვერით მოჰკლეს უბნის ზედამხედველი. ბოროტ-მომქმედნი მიიმალნენ.

**ასტრახანი.** სამგზავრო გემი „მიხეილი" დაეჯახა საბუქსირო გემს „მაკაროვს" და დაიძირა. მგზავრები და მეზღვაურნი გადარჩნენ. ერთი ბავშვი დაიხრჩო.

**პეტერბურგი.** დღეს ლოპუხინს საბრალმდებლო ოქმი ჩააბარეს. საქმე დანიშნულია განსახილველად 28 აპრილისთვის სენატის განსაკუთრებულ საკრებულოში, რომელსაც სახელმწიფო დანაშაულობის საქმეები აქვს ჩაბარებული. ლოპუხინს ბრალი ედება სისხლის სამართლის მე-102 მუხლის ძალით. საქმე ხალხის დასწრებით გაირჩევა. თავმჯდომარედ დანიშნულია სენატორი ვარვაინი, ბრალს დასდებს პეტერბურგის პალატის პროკურორის ამხანაგად ნამყოფი კორსაკი, რომელიც უკვე ყაზანის პალატის პროკურორად არის დანიშნული.

**მოსკოვი.** დაიწყო ტუბერკულიოზის შემსწავლელ მუდმივ კომისიის სხდომები აღძრულია საკითხი ტუბერკულიოზთან მებრძოლ ლიგის დაარსების შესახებ.

**კიევი,** სააქტო დარბაზში დაიწყო სრულიად რუსეთის მესამე კრება გინეკოლოგებისა და აკუშორებისა. თავმჯდომარემ მურატოვმა, რექტორმა სიტოვიჩმა და პროფესორმა ობოლენსკიმ მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს. წაიკითხეს აუარებელი მისასალმებელი წერილი სამკურნალო საზოგადოებისა და კერძო პირებისა. [illegible] დროს [illegible].

**ცარ-ცინი.** ცარიცინს ქვემოდ 15 ვერსზე, „კავკაზ და მერკურის" საზოგადოების გემი „ცესარევიჩი" დაეჯახა კლდეს და შესამჩნევად დაზიანდა. მგზავრები ნაპირზე გადმოსხეს.

**„დროების" ხვალინდელ „სურათებიან დამატების" შინაარსი: „სახიფათო სიყვარული" (დასასრული), მოთხრობა ვ. ბარნოვისა; წვრილი ამბები; სურათები: „გაზაფხული", „სინანული მაგდალინასი", სურათი რემბრანდტისა, „პატიმარი", სურათი იაროშენკოსი და კარიკატურები.**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **სომეხთა კრება.** გუშინ, 3 აპრილს, დილის $11\frac{1}{2}$ საათზე, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დარბაზში დაიწყო კრება სომეხთა შინა მრეწველობის მოღვაწეებისა. კრებაზე გამოცხადნენ წარმომადგენელნი განჯისა და ერევნის გუბერნიის სხვა და სხვა კუთხისა, ახალციხე-ახალქალაქის მაზრისა და ტფ. სომეხთა სხვა და სხვა კულტურულ დაწესებულებისა. კრებას, წევრთა გარდა, გარეშენიც დაესწრნენ, ასე რომ 200-მდე ქალი და კაცი შეიკრიბა. ვიდრე კრება ოფიციალურად გაიხსნებოდა, დამსწრეთ დაათვალიერეს დარბაზშივე გამოფენილი ნაწარმოებნი სომეხთა შინა მრეწველობის საზოგადოების მიერ დაარსებულ სახელოსნოებისა: ხალიჩები, პირსახოცები, ზეწრები, მუთაქის საპირე, ძვირფასი ქსოვილი, მატყლისა და ბამბის ქსოვილი და სხვა. ნაწარმოებნი მნახველს გაოცებს. ყველაფერი მეტად სუფთად, მკვიდრად და ხელოვნურად არის დამზადებული. ქსოვილი პირსახოცები აქ 25—30 კ. პეიკად ღირს, ბაზარში-კი 80 კაპ.—1 მ.ნ. ძლივს იშოვი. აქვე იყო გამოფენილი ერთი ხალიჩა, შუშაში გაკეთებული და 160 მანეთად ღირებული, რომელიც გადაუწყვეტიათ ნამესტნიკს მიართვან საჩუქრად. სომეხთა შინა მრეწველობის განვითარებას ხელს

# ფელეტონი

## რუსთა შორის

ქრისტე აღსდგა!—მეოცე საუკუნე და ღორი ქაჯ-ეშმაკი.—რედაქტორ-თანამშრომლების ამბავი.—ნაფიცი ვექილები და ბანქო.—ახალი მოდის ცენზურა.

ქრისტე აღსდგა, მკითხველო! მრავალ აღდგომას დაესწარი ჯანმრთელად, სიხარულით, ბედნიერად... მე კი გისურვებ და შენ იცი და დღევანდელმა „უსმოტრენიემ"...

კარგია, მკითხველო, ქრისტეს აღდგომა! კაცი ერთის წუთით ყველაფერ უბედურებას განზე სდებს და სიხარულს და თავდავიწყებას ეძლევა. სიხარული რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ეხლანდელ დროში თავდავიწყება სჯობიან ყველაფერს, სიხარულსაც, სიყვარულსაც, ერთის სიტყვით ყველაფერს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ დროში სიხარული ძალიან ხშირი სტუმარი არ არის და მეორეც იმიტომ, რომ თავდავიწყების დროს თითქოს მხიარულიცა ხარ, ყველაფერიც გიყვარს, აღარც დარდი გაწუხებს, აღარც ვარამი, ხარ შენთვის, თითქოს არ არსებობ კიდეც. მშვენიერებაა, მკითხველო! წარმოიდგინე შენი თავი, რომელსაც გარშემო ცხოვრებისა არარაფერი გაეგება, არარაფერი ეინტერესება, არაფერი შენ გულს არ ატოკებს, არ აღელვებს, არ აცრემლებს, არც გიყვარს ვინმე, არცა გძულს. სხვისი ტკივილი შენზედ არა მოქმედებს, შენს გულში არავითარ შეცოდებას არ იწვევს, სხვისი სიხარულე არ გესმის, შენზე გავლენას არ ახდენს... რა თქმა უნდა, ცუდია, რომ სხვისი ჭირი ჭირად არ მიგაჩნდეს, სხვისი ლხინი ლხინად, ცუდია, ვინ რას ამბობს, მაგრამ... მაგრამ, ვიმეორებ, სხვა დრო დაგვიდგა, ან უნდა თოკის ნერვები გქონდეს, რომ ამდენ უბედურებას უყურო, ან უნდა ყველაფერს ზურგი შეაქციო და უცადო იმ დროს, როდესაც ესე სოფელი გამოკეთდება...

მაგრამ გავანებოთ თავი პესიმიზმს და შეუდგეთ საქმეს.

* * *

პატარა ყური დამიგდეთ. რუსეთის ერთ გუბერნიაში არსებობს სოფელი თუ ქალაქი, აღარ მახსოვს, სახელად ბოლხოვი. ამ ქალაქის თუ სოფლის ერთ ქუჩაზე შუაღამისას სამი ახალგაზრდა ყმაწვილი მოდის. ქუჩის შესახვევიდან უცბად ღორი გამოხტება. ყმაწვილებს ღორი ქაჯ-ეშმაკად მოეჩვენებათ და ასტეხენ ყვირილს. ყვირილზე მთელი სოფელი თუ ქალაქი შეიკრიბება, და საწყალ ღორს მაგრა მიბერტყავენ— არიქა ქაჯ-ეშმაკი დავიჭირეთ და ჯავრი ვიყაროთო.

თქვენ გეკითხებით ეხლა, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ? მეოცეში და არა საშუალო საუკუნოებში. ამაში ყველა დამეთანხმება, მაგრამ საქმით კი გამოდის, რომ საშუალო საუკუნოებში ვცხოვრობთ. თუ არა საშუალო საუკუნოებში, განა მოსაფიქრებელია ქაჯი-ეშმაკი და მეორეც ისიც ღორის სახით, რომელიც არავის არაფერს უშავებს, დადის თავისთვის და დახრუტუნებს. მიუხედავად ამისა, ამ საწყალ ღორს მაინც ზურგი აუწვეს და ამასთან იმის ზურგზე ჯავრი ამოსჭრეს, აბა ერთი დავინახოთ ქალად როგორ გადიქცევაო. მოდი და ამისთანა ამბების გამგონე ნუ ინატრებთ თავდავიწყებას! უწყინარი ღორი, რომელიც არავის არაფერს უშავებს და რომელიც გემრიელ ხორცსაც იძლევა, კინაღამ ჯვარზე გააკრეს მეოცე საუკუნეში. ამას ზედ დაუმატეთ ღორის პატრონის (რომელიც რა თქმა უნდა, თავის ღორის „გასამართლებაში" ერეოდა) გაბრაზება, რასაც ზედ ჯარიმის გადახდევინება მოჰყვა, და მოდი და ნუ ინატრებთ თავდავიწყებას!

* * *

სწორედ იმავე დროს, როდესაც ბოლხოვში ღორი ქაჯ-ეშმაკად მონათლეს და აუტანელი ტანჯვა მიაყენეს, რუსეთის მეორე კუთხეში მეორე „ღირსშესანიშნავი" ამბავი მოხდა. ბოლხოვში თუ უვიცი მცხოვრებნი იღებდნენ მონაწილეობას „ღორის გასამართლებაში", აქ საზოგადოების მოწინავე პირები მოქმედებდნენ.

ქალაქ ციმბირსკში გამოდის გაზეთი, სახელად „ნაროდნაია ვესტი" ერთ თანამშრომელს გაზეთში აკროსტიხი დაუბეჭდია, საიდანაც თურმე გამოდიოდა, რომ „რედაქტორი აბრამოვი ნამდვილი ხეპრე, გაუთლელი მუხაა". წარმოიდგინეთ რედაქტორის გაბრაზება, რედაქტორი გაუთლელი მუხა, ხეპრეაო... მაგრამ რედაქტორ აბრამოვს სხვანაირად დაუბოლოვებია ეს გაბრაზება. მოგეხსენებათ რომ „ფულით დატვირთული ვირი ციხეებსაც კი აიღებს" და რედაქტორს გაუხსნია თავისი ჯიბე, მოუსყიდნია შარინის (თანამშრომლის გვარია) მოსამსახურე და უთქვამს, ფეხის ადგილში დამმალეო. თურმე რედაქტორს განუზრახავს თანამშრომლის „დაზელა". „დაზელის" გეგმა ამნაირად ყოფილა (ასე ამბობენ) შედგენილი: როდესაც შარინი ღამე სახლში დაბრუნდებოდა, (მას ფეხის ადგილის გვერდზე უნდა გაევლო). უცბად გამოხტებოდა რედაქციის მდივანი (ესეც მოსყიდული იქნებოდა) და თვალებში ნაცარს შეაყრიდა და შემდეგ შარინს რედაქტორი პატარა გიმნასტიკას გაუკეთებდა სახეზე. მაგრამ, მოგეხსენებათ, ბედი ცვალებადია და იმის მაგივრად, რომ თვითონ მიეტანათ იერიში, შარინმა მათ ალყა შემოარტყა, ყოველივე გზა შეუკრა და წინადადება მისცა, დაამორჩილებოდნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაწვით დაემუქრა. რედაქტორი თავის მდივნით იძულებული გახდარა დამორჩილებოდა. ბარინი ამით არ დაკმაყოფილდა და მუშებს ფეხი ადგილი ქუჩაში გაატანინა და ხალხის თანადასწრებით „ტყვეობიდან" გაანთავისუფლა რედაქტორ-მდივანი. როგორ მოგწონთ! კაი ფარსი დაიწერება არა? დიახაც, რომ დაიწერება, მაგრამ, სად არის ნიჭიერი კაცი!

ეს ამბავიც დღევანდელ ვითომდა მე-20 საუკუნის დამახასიათებელია!.

* * *

დავანებოთ თავი შარინებს, აბრამოვებს, ბოლოხოვებს და სხვა ამისთანებს და უფრო განათლებულ წრეებში შევიხედოთ. გეხსომებათ პეტერბურგის თუ მოსკოვის ნაფიცვექილთა საზოგადო კრების ერთი გადაწყვეტილება. მე მოგახსენებთ იმ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც ნაფიც-ვექილებს ბანქოს თამაში ეკრძალებოდათ და რომლითაც ურჩ ვექილებს ნაფიც-ვექილთა წრიდან გამორიცხვით ემუქრებოდნენ. მოგეხსენებათ, ზოგი ძალიან გატაცებულია ბანქოს თამაშით, მათთვის ასეთი აკრძალვა „სიკვდილ-სიცოცხლის" საკითხია. ამიტომ ბევრს არაფრად ეპაშნიკა ასეთი გადაწყვეტილება. მეორეს მხრის გადაწყვეტილების მომხრენი დიდ გაჭირვებაში ჩავარდნენ გადაწყვეტილების სისრულეში მოყვანის დროს. მათ დასჭირდათ მთელი ჯარი ცალკე კაცებისა, ესე იგი თავისებური საიდუმლო პოლიცია, რომელიც ჩუმად ადევნებდა თვალყურს ნაფიც-ვექილებს და მათ ცოდვებს ამცნობდა, ვისაც ჯერ არს.

— ჰა! თქვენ აქ რა გინდათ? დაგავიწყდათ საზოგადო კრების გადაწყვეტილება? შეუწყნარებელია, შეუწყნარებელი! თუმცა პატივსა გცემთ, თქვენ პატივცემულო მეუღლის გლაფირინა კონსტანტინოვნას ხათრიცა მაქვს, მაგრამ არ შემიძლიან, მოვალე ვარ ყველაფერი ვაცნობო ნაფიც-ვექილთა საბჭოს.

— მოითმინეთ, ივან ივანიჩ! რა დროს ეგენია, რას მიირთმევთ? კონიაკს, კარგია, აბა რათ უნდა აცნობოთ, რა საჭიროა, თქვენ რა მოგემატებათ... თქვენ მგონი გაჭირვებული ხართ. [illegible]. კვლავ სხვა იქნება...

ან კიდევ უკეთეს შემთხვევაში ნაფიც-ვექილთა წრიდან გამოგდება მოელოდა. საკვირველია რატომ ეს არ მიიღეს მხედველობაში ნაფიცმა ვექილებმა! მაგრამ რუსეთში ეხლა ყველა გზა დაბნეულია და ესენი როგორ გავამტყუნოთ. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაფიც ვექილებს ძალიან სწყენიათ ეს გადაწყვეტილება და ერთ ჯგუფს უკვე განცხადება შეუტანია, „ძალიან ცუდ მდგომარეობაში ჩაგვაყენა ამ გადაწყვეტილებამ. ოჯახის უფროსები და უცბად მოწაფეების მდგომარეობაში ჩაგვაყენაო"... ასე გახლავთ ბატონებო!

* * *

რა არა ხდება ამ დალოცვილ რუსეთში! წარმოიდგინეთ, ეკატერინოდარში ასოთ-ამწყობებს ცენზორობა დაუწყიათ, ისიც გუბერნატორის ნებართვით. ბევრი ცენზორი ჰყოლია „Святая Русь", მაგრამ ეს რაღაც ახალი ხილია. გაზეთს რომელსაც ასეთი „ცენზორები" ჰყავს, სახელად „ომსკი ტელეგრაფი" ჰქვიან. გაზეთის ერთი მეთაურის გულისთვის დაუკეტიათ ის სტამბა, რომელშიაც გაზეთი იბეჭდებოდა. მუშები ქუჩაში დარჩენილან. მოგეხსენებათ რომ „შიმშილი ძალუა არ არის" და ამიტომ მუშებს დეპუტაცია გაუგზავნიათ გუბერნატორთან, ნება მიეცი გაზეთი გამოსცენ და თვითონ ჩვენ ვადევნებთ თვალ-ყურს, ჩვენ თვითონ გაუწევთ „ცენზორობას", ხაზინა ფულს ნუ დახარჯავს ცენზორის ჯამაგირისთვის, თქვენ ნუ გგონიათ, რომ ჩვენ მართლა „კრამოლნიკები" ვიყოთ, ხედავთ როგორ შეგვტკივა გული ხაზინისათვისაო. გუბერნატორს ცენზორობის ნება დაურთავს და ასოთ-ამწყობები გაზეთის ბატონ-პატრონები გამხდარან. ისე გულ-მოდგინედ შესდგომიან თურმე ასოთ-ამწყობები „ცენზურობას", რომ ცალკე სიტყვებსაცკი ყურადღებას აქცევენ—ეს სიტყვა რაღაც ჯანდაბურია, ჩვენ არ გვესმის და ალბად საწინააღმდეგო რამეაო. შლიან თურმე სიტყვებს, წინადადებს, აზრებს, მთელ წერილებს. რედაქტორები ემუდარებათ თურმე—არაფერია მანდ საწინააღმდეგო, ნუ გეშინიანთო, მაგრამ არა გამოდის რა. რედაქტორს თავისით განუზრახავს გაზეთის დაკეტვა ასეთ „ცენზორებისაგან" თავის დასაღწევად, მაგრამ ასოთ-ამწყობებს ისე მუხტი მოუღერებიათ, რომ შიშისაგან გული წასვლია...

ეჰ, მახლას! ასეთი დაიბადა მეოცე საუკუნე და რას იზამთ...

ვ. ხ—ლი.

უწყობენ კავკასიის შინა მრეწველობის კომიტეტის წევრნი და მოხელენი—ბ-ნნი ფირალოვი, ქალანთარი, როდზევ ჩ-ბელეკ ჩი და სხვანი. როგორც ვიცით, კომიტეტს შინა მრეწველობისთვის ყოველ წლობით დიდი ფული ეძლევა. ბ-ნთ ქალანთარმა, ფირალოვმა და სხვებმა შეჰქმნეს სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოება ერევნისა, ბაქოსა და განჯის გუბერნიებში და მხნედ შეუდგნენ სახელოსნოებისა, სკოლებისა და სხვა დაწესებულებათა დაარსებას შინა მრეწველობის გასავრცელებლად. წლევანდელი კრებაც ბ-ნთ ქალანთარისა, ფირალოვისა და სხვათა მეცადინეობით არის მოწვეული. ნაწარმოებთა დათვალიერების შემდეგ, ბ-ნმა ქალანთარმა გახსნა კრება და თავის სიტყვაში გააცნო კრებას ისტორია კრებისა და აღნიშნა მისი მნიშვნელობა. თავმჯდომარედ იგივე ბ-ნი ქალანთარი აირჩიეს. კრების გახსნას მიეგებნენ სამეურნეო საზოგადოების წარმომადგენელნი ბ-ნი ფირალოვი, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წარმომადგენელი ბ-ნი მელქუმოვი, სომეხთა საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი ბ-ნი ლალაიანცი, გაზეთ „მშაკის“ თანამშრომელი არაქელიანცი, გაზ. „ალბიურის“ და „ტარაზის“ რედაქტორი ნაზარიანცი, სომეხთა სამეურნეო გაზეთის „გიუხატნესის“ წარმომადგენელი მელიქ-ბახტანიანცი. წარმომადგენლები იყვნენ აგრეთვე ტფილისის სომეხ ვაჭართა კავშირისა და სხვისაგან. ორატორებმა ის აზრი გამოსთქვეს, რომ ამ გვარ კრებას დიდი მნიშვნელობა აქვს, იგი სოფელს უახლოვებს ქალაქსაო.

**✦ საფუთო გადასახადის მომატება.** სახელმწიფო სათათბირო ამ გაზაფხულის სესიის დროს შეუდგება ქიათურიდან გატანილ მარგანეცზე საფუთო გადასახადის მომატების საკითხის განხილვას. ამავე დროს განხილული იქნება ფოთის ქალაქის თავის შუამდგომლობა ფოთის სასარგებლოდ საფუთო გადასახადის დაწესების შესახებ. („კავკ.“)

**✦ ტრამვაის საქმეები.** რუსულ გაზეთების სიტყვით უკვე დამთავრებულა მოლაპარაკება ტრამვაის მთავარ სამმართველოს წარმომადგენელსა და მუშებს შორის. „კავკაზის“ სიტყვით, ტრამვაიზე აწ არსებულ რვა საათის სამუშაო დღის ნაცვლად 9 საათი იქნება შემოღებული.

**✦ ქართული სახალხო წარმოდგენა.** ზუბალაშვილის სახალხო სახლში დღეისთვის ქართულს ენაზე პირველი წარმოდგენაა დანიშნული. ბ-ნ კ. შათირიშვილის მეთაურობით შემდგარი სცენის მოყვარეთა დასი წამოადგენენ ცნობილს კომედიას „რევიზორს“. ხლესტაკოვის როლს შეასრულებს ბ-ნი შათირიშვილი, ხოლო გოროდნიჩისას ი. ზურაბიშვილი. სცენის მოყვარენი კარგად მომზადებულან. ფასები 10 კაპეიკიდან იწყება. წარმოდგენა საღამოს 8 საათზედ დაიწყება.

**✦ საისტორიო მასალა.** ექიმმა სტ. ვაწაძემ ისტორიისათვის საყურადღებო მასალა გადასცა ქართველთა საისტორიო საეტნოგრაფიო საზოგადოებას ქ. ტფილისის ნაცვალის შესახებ მე-XIX საუკუნის დასაწყისში.

**✦ ავტომობილები.** „კავკაზს“ გაუგია, რომ შემდგარა ახალი სააქციონერო საზოგადოება, უმთავრესად შვეიცარიულ კაპიტალისტთაგან. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს თურმე ავტომობილებით მიმოსვლა მოაწყოს კავკასიის სხვა და სხვა ადგილას. თუ საჭიროება მოითხოვს, ეს საზოგადოება ახალ გზებსაც კი გაიყვანს ავტომობილების სასიარულოდ. ამ საზოგადოების ძირითადი თანხა 2.000.000 მანეთამდეა. თავის რწმუნებულთა საშუალობით საზოგადოება შეუდგა შუამდგომლობას ნებართვის ასაღებად.

**✦ სახალხო კითხვები.** შაბათს, 4 აპრილს, საქიმო საზოგადოების შენობაში ($3^1/_2$-$4^1/_2$ ს.) ქ-ნი შავერდოვისა რუსულ ენაზე ბ[?]-ვის წაიკითხავს „ბიძია ტომას ქოხი“. კვირას ამავე შენობაში ქ-ნი დილანიანი სომხურ ენაზე (12-1 ს.) წაიკითხავს პიანქველებზე. ქ-ნი ნ. მუსხელიშვილი ქართულად ($3^1/_2$ $4^1/_2$ ს.) წაიკითხავს „ჰიაც სასარგებლოა, ის აბრეშუმს გვაძლევს“. მოზრდილთათვის პოპულიარული სისტემატიურ კურსებს ადამიანის ანატომიასა და ფიზიოლოგიაზე წაიკითხავს სომხურად ექიმი მხითარიანცი. კითხვის დროს ბუნდოვანი სურათებს აჩვენებენ. ბავშვებს ამ ლექციებზე არ შეუძლიან შესვლა.

**✦ შეწირულება.** საქველმოქმედო საზოგადოება გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ გიორგი თევდორეს ძე კუნდუროვმა სააღდგომო დარბაზობის ნაცვლად შესწირა ამ საზოგადოებას ოცდა ხუთი მანეთი.

**✦ არქეოლოგიურ საზოგადოების კრება.** დღეს, საღამოს 8 საათზე, ტფ. საჯარო ბიბლიოთეკაში მოხდება კრება მოსკოვის არხეოლოგიურ საზოგადოების კავკასიის განყოფილებისა. განსახილველი საგნები: ანგარიში საზოგადოების 1908 წლის მოქმედებისა, მოხსენება ე. თაყაიშვილისა სპილენძის იარაღების შესახებ, რომელნიც სოფელ ახალქალაქის მახლობლად არის ნაპოვნი და აგრეთვე მოხსენება ქსნის ხეობაში მოგზაურობის შესახებ; მოხსენება მ. ჯანაშვილისა კორიდეთის ბერძნულ სახარების და იმის ქართულ მინაწერების შესახებ.

**✦ შუამდგომლობის უარყოფა.** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ წელს განაახლა თავისი მოქმედება. ამას წინად განყოფილების სახელით იოსებ ქუთათელაძემ საზოგადოების საბჭოს წარუდგინა შუამდგომლობა, რომ საბჭო განყოფილებას წინა წლებისამებრ 500 მანეთით დაეხმაროს. საბჭომ უარჰყო შუამდგომლობა ფულით დახმარებისა. არ იქნებოდა ურიგო, იმ 7000 მანეთიდან, რომელიც ყოველწლობით საზოგადოებას ეძლევა, 500 მანეთი ქუთაისის განყოფილებას მიეცეს ხოლმე.

**✦ მოძრაობის უფროსი.** ამიერკავკასიის რკინის გზის მოძრაობის უფროსი პავლოვსკი გადაიყვანეს რუსეთში. იმის ნაცვლად ამ თანამდებობაზე დაინიშნა ბ-ნი ბუტენკო. გუშინ ბ-ნი პავლოვსკი თანამოსამსახურეებმა გააცილეს.

**✦ ქალაქის შემოსავალი.** 1909 წლის 1 მარტამდე ტფ. ქალაქის კასამ მიიღო: დასაფასებელ გადასახადისა 181.394 მან. 2 კაპ.; სატრაქტირო გადასახადებისა 19.796 მან.; ცხენებისა, ძაღლებისა და სხვა გადასახადებისა 25,105 მან., მიწების იჯარისა 10,213 მან., ქალაქის წყლისა შემოსავალი 26,294 მ. 75 კ., საყასბოდან 8897 მან. 52 კ., ჯარიმებისა 11,186 მან. 40 კაპ. წელს საზოგადოდ გადასახადები რიგიანად იკრიბება. ქალაქის საქმე იმდენად გამოკეთდა, რომ ყველა მიმდინარე ხარჯს გამგეობა კარგად უძლევება.

**✦ მეურნეთა კრება.** როგორც ვწერდით, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭომ მეურნეთა კრების მომწვევ ბიუროსთან შეთანხმებით კრება კავკასიელ მეურნეებისა გადასდო შემოდგომისათვის. ამას წინად საბჭოსა და ბიუროს შეერთებული სხდომაზე. ი. ქუთათელაძემ და ს. ხუნდაძემ წინადადება შეიტანეს, პროგრამა შეევსოთ მეაბრეშუმეობისა და მეხილეობის შესახებ საკითხებით. პროგრამის გაფართოების წინააღმდეგი იყო ა. ქალანთარი. სხდომამაც უცვლელად დასტოვა ძველი პროგრამა. სხდომამ დაადგინა აგრეთვე, კრება მოიწვიოს 15-24 ნოემბერს.

**✦ ახალი დრამა.** მოგვივიდა ოთხ-მოქმედებიანი და ხუთ სურათიანი დრამა „ქრისტინე“. ეს დრამა გადმოღებულია ე. ნინოშვილის მოთხრობიდან პ. ირეთელის მიერ. წიგნის შემოსავლის 10% გადადებულია ნინოშვილის ფონდისათვის. წიგნი რიგიანად არის გამოცემული და ღირს ერთ აბაზად.

**✦ სომხური სახალხო წარმოდგენა.** როგორც ვწერდით, ზუბალაშვილის სახალხო სახლი ჩაიბარა ქალაქის გამგეობამ. სახლი მშვენივრად არის მოწყობილი კაპელდინერებად ქალები არიან. 2 აპრილს სომხურ სექციის თაოსნობით სომეხთა სცენის მოყვარეებმა გოგოლის იუბილეის აღსანიშნავად წარმოადგინეს „რევიზორი“. წარმოდგენამ მხიარულად ჩაიარა. ხალხი ბევრი დაესწრო. სცენები კარგად იყო მოწყობილი.

**✦** 2 აპრილს, საღამოს $10^1/_2$ საათზედ, 4 უცნობი შევარდნია ჩერკასკის ქუჩაზე ტფილისის მოქალაქეს გაბრიელ აივაზოვს ორი რევოლვერით ყოფილა და ერთიც ხანჯლით. მათ მუქარით მოუთხოვნიათ 1500 მან. აივაზოვს არ შეშინებია, მოუხმია შვილე[ბ]ი, იოსები და ივანე, აგრეთვე მდგმური ოჰანეზოვი და წაურთმევიათ უცნობებისთვის რევოლვერები და ხანჯალი. ხანჯლით დაჭრილან გეურქო ჰანეზოვი და ივანე აივაზოვი. საზოგადო ღრიანცელით უსარგებლნიათ ავაზაკებს და გაქცევა მაინც მოუხერხებიათ. დაუტოვებიათ ქუდები და იარაღი. პოლიციამ ეჭვით დააპატიმრა არშაკ არაქელიანცი; აკოფ მიხეილისშვილი და ალაქ არაქელოვი.

**✦** კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, ვ. ი. რცხილაძის წინადადებით, შუამდგომლობა აღძრა, ტფილისის საბრეშუმო სადგურმა სიღნაღის მაზრაში გაჰგზავნოს მეფუტკრეობის ინსტრუქტორი იქ სკებში გაჩენილ ერთგვარ სენის, სიდამპლის, წინააღმდეგ საბრძოლველად, ერთს ადგილობრივ მღვდელს სიდამპლის წინააღმდეგ ფორმალინი უხმარია, რასაც კარგი შედეგი მოჰყოლია. ინსტრუქტორმა უნდა გამოარკვიოს ეს წამალი რამდენად არის გამოსადეგი სენის წინააღმდეგ.

**✦** „ნიუ-იორკის“ სასტუმროში მცხოვრებმა ქალმა ეკატერინე მელნიკოვისამ დალია კარბოლის სიმჟავე. უგრძნობლად მყოფი ქალი მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

**✦** ტფ. პოლიციამ დააპატიმრა 2 აპრილს ლავრენტი ზაალოვი, რომელიც საგენერალ-გუბერნატოროდან გადასახლების შემდეგ ტფილისში დაბრუნებულა.

**✦** 1 აპრილს ვერის ხიდზე უეცრად გარდაიცვალა ლიბერმანის სტამბის ასოთამწყობი ალექსანდრე სილვესტროვი.

# ოსმალეთი

**ჯარისკაცების აჯანყება სტამბოლში.**

რუსულ გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ სტამბოლიდან: აჯანყების ნიშანი პირველად მისცა ანატოლიის (მცირე აზიის) ბატალიონმა, რომელიც დილით ადრე გავიდა კაზარმებიდან სოფტების (მუსულმანთა სასულიერო უმაღლეს სასწავლებლის მოწაფეების) წინამძღოლობით.

სტამბოლში მომხდარ ამბებმა როდი გააკვირვა იქაურ დიპლომატთა წრეები, რომლებსაც დიდი ხანია აუცილებლად მიაჩნდათ არეულობა, რადგან ყველანი ჰხედავდნენ, რომ ახრარიების პროგრესიული პარტია და რეაქციონერები ერთად მოქმედებდნენ ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ.

**მოძრაობა ალბანიის ჯარში.**

ალბანიიდან მიიღეს ცნობები, რომ იქაურ ჯარშიაც დაიწყო მოძრაობა ახალგაზდა ოსმალთა წინააღმდეგ და ახრარიებისა (ლიბერალების) და მაჰმადიანთა რეაქციონურ კავშირის სასარგებლოდ.

ალბანელ აფიცრებს შორის შეთქმულება აღმოაჩინეს.

უცხოეთის გაზეთები იუწყებიან: ალბანელთა აჯანყებას ზოგიერთი უცხო სახელმწიფო უწყობს ხელსაო.

**ინგლისი ესკადრას ჰგზავნის სტამბოლისკენ.**

სტამბოლში ხმა გავრცელდა, რომ ინგლისის მთავრობამ უბრძანა თავის ფლოტის ესკადრას მიუახლოვდეს ბოსფორსაო.

**უცხოელების ინტრიგები.**

რუსული გაზ. „ნოვოე ვრემია“ ამტკიცებს, რომ სტამბოლში მომხდარ არეულობას ხელს უწყობდნენ ავსტრია და ბოლგარიაო. გაზეთი ჰფიქრობს, რომ ეს სახელმწიფოები ისარგებლებენ ოსმალეთის არეულობით, ავსტრია დაიჭერს სალონიკს, ხოლო ბოლგარია—სტამბოლსაო. გაზეთი ურჩევს რუსეთის დიპლომატიას: ინგლისი უთუოდ მხარს დაუჭერს ოსმალეთის კონსტიტუციას, მაგრამ რუსეთი ეხლა მაინც ნუღარ გაიმეორებს იმ შეცდომას, რომელიც მან სპარსეთში ჩაიდინა, და ინგლისთან ერთად ნუ გამოესარჩლება ოსმალეთის კონსტიტუციასო.

სამაგიეროდ ავსტრიული და გერმანული გაზეთები ამტკიცებენ, რომ სტამბოლში მომხდარ არეულობას რუსეთის დიპლომატია უწყობდა ხელსაო.

**ბოლგარიის გათამამება.**

სტამბოლში მომხდარმა არეულობამ ფრთები შეასხა ბოლგარიის მთავრობას, რომელმაც სწორედ ეხლა მოსთხოვა ოსმალეთს, რომ იგი რაც შეიძლება ჩქარა დასთანხმდეს ბოლგარიის დამოუკიდებლობას, ამბობენ, რომ ბოლგარია მობილიზაციას გამოაცხადებს და სამხედრო დემონსტრაციას მოახდენს ოსმალეთის საზღვარზეო. ამბობენ აგრეთვე, რომ ბოლგარიის მთავრობა წინადადებას მისცემს დიდ სახელმწიფოებს, რომ მათ თითონ უოსმალეთოდ გადასწყვიტონ ბოლგარიის საქმე, რადგან სტამბოლში დიდი არეულობააო.

ბოლგარიის რწმუნებულმა ლიაპჩევმა უკანასკნელი ვადა დაუნიშნა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს რიფაატ-ფაშას და თან დაემუქრა, თუ ამ ვადამდე ვერ მოვრიგდებით ჩვენ სადაო საქმეზე, მოლაპარაკებას შევსწყვეტ და სტამბოლიდან წავალო.

**იზვოლსკი აღარ წავა საზღვარ-გარედ**

რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრი იზვოლსკი საზღვარ-გარედ აპირებდა წასვლას, მაგრამ რაკი სტამბოლში მომხდარ არეულობის ამბავი მიუვიდა იგი პეტერბურგში დარჩა.

ცნობა სტამბოლის დიდ არეულობაზე პეტერბურგში ყველაზე წინ მიუვიდა ბოლგარიის საელჩოს, შემდეგ ინგლისის საელჩოს. ყველაზე გვიან ეს ცნობა მოუვიდა რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს.

**განხეთქილება მე-3 კორპუსში.**

სალონიკის განთქულ მე-3 კორპუსში, რომელმაც პირველად აafრიალა რევოლიუციის დროშა და კონსტიტუცია გამოაცხადა, აფიცრები ორ ჯგუფად გაიყვანენ: რეაქციონერებად და კონსტიტუციონალისტებად. ორივე ჯგუფი მტრულად უცქერიან ერთმანეთს.

**ახალი რეაქციონური ორგანიზაცია.**

ქალ. სალონიკში დაარსდა კომიტეტი „ჯემიეტი მეხმეტიე“, რომელიც შესდგება ძველი რეჟიმის მომხრეთაგან.

**არეულობა არაბეთში.**

დიდი არეულობაა არაბეთში. მთავრობის მიერ გაგზავნილი იუსუფ ფაშა თავის რაზმით მთელს სამს დღეს ებრძოდა ზერანი[...] ტომს (არაბთა ტომი) დიდი [...] მისცა არაბებს და ქალ. პეიტელ ფაგიე დაიჭირა,

ჩეზირეს პროვინციაში არაბთა ორ ტომს დიდი შეტაკება მოუვიდათ. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდა 12 ათასამდე კაცი. ორსავ მხარეს 400-მდეა მოკლული და დაჭრილი.

**ფულების გაფლანგვა.**

ამას წინად სულთანმა 500,000 მან. შესწირა ჰეჯასის რკინის გზის ასაშენებლად. ამ გზის მმართველობამ განაცხადა, რომ ეს შეწირულობა არ მიგვიღიაო. რკინის გზების კომისიამ გადასწყვიტა, იმ საქმეზე დიდ ვეზირს შევეკითხოთო.

**ახრარების საყვედური.**

„ნოვ. ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება: „როცა ოსმალეთის პარლამენტმა დაამტკიცა ავსტრიასთან შეთანხმება ბოსნია-ჰერცოგოვინას საქმეზე, ახრარებმაც (ლიბერალებმა) დაიწყეს სხვებსავით ყვირილი, რომ ახალგაზდა ოსმალებმა გაყიდეს ოსმალეთის საფლობელოო.

# სპარსეთის ამბები

**ოსმალეთი და ინგლისი ჯარსა ჰგზავნიან თეირანში.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება თეირანიდან: აქ ცნობა მიიღეს, რომ ურმიიდან ძლიერი ოსმალეთი რაზმი მოდის თეირანშიო. ამ ცნობამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია თეირანში. ოსმალეთის ელჩი ამბობს, რომ ეს რაზმი ოსმალეთის საელჩოს დასაცველად მოდისო. მაგრამ ოსმალეთის საელჩოს მშვენივრად იცავენ პოლკოვნიკ ლიახოვის უზბაშები, რომლებსაც სრულებით არა სჭირდებათ შველა.

ამბობენ აგრეთვე, რომ ინგლისის ელჩის განკარგულებით ინდოეთიდან მოდის სიპაების (სიპაი—ინდოელი ჯარისკაცია) რაზმიო. აქ ყველაზე მცირე დამცველი რაზმი ჰყავს რუსეთის საელჩოს.

**საუბარი კაზვინის გენერალ-გუბერნატორთან.**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტს კაზვინში უსაუბრნია იქაურ გენერალ-გუბერნატორთან აბდულ-ხუსეინთან, რომელიც თურმე დროებით დგას ნადირშაჰის ძველ სასახლეში. დარბაისელი ადმინისტრატორი თურმე მეტად პესიმისტურად უყურებს სპარსეთის მდგომარეობას. მას უთქვამს:

„თუ შაჰი კონსტიტუციას უბოძებს თავის ხალხს, მეც გამოვაცხადებ ჩემს ოლქში კონსტიტუციას, არა და მეც უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დავიცავ შაჰის უფლებას. ჩვენ ყოველ წამს ველით მაშველ ჯარს. ასეთ პირობებში, რომლებშიაც ჩვენ ეხლა ვიმყოფებით, იერიშის მიტანა რევოლიუციონერებზე შეუძლებელია. ჩვენ გვაბრკოლებს სრული უფულობა და იარაღისა და სამხედრო სურსათის უქონლობა. მტერი კი მშვენივრადაა ჩაცმული, შეიარაღებული და საკვები სურსათიც ბლომად აქვს.

**ეინუდ-დოვლე ცოცხალია.**

როგორც „პეტ. სააგენტოსა“ და გაზეთების ცნობებიდან სჩანს, გაზ. „კასპი“-ს ცნობა ეინუდ-დოვლეს მოკვლის შესახებ ტყუილი გამოდგა.

**შაჰი გაუწყრა ეინუდ-დოვლეს.**

ამბობენ, შაჰს ძლიერ აშფოთებს ეინუდ-დოვლეს მოქმედებაო. შაჰი ჰფიქრობს, რომ ეინუდ-დოვლეს რამდენჯერმე შეეძლო ბოლო მოეღო თავრიზისთვის, მაგრამ რაღაც მიზეზით არ მოინდომაო. შაჰმა საშუბლოს მოდალატედ გამოაცხადა ეინუდ-დოვლე და ბრძანება გასცა, რომ მას მამულები ჩამოართვან ხაზინის სასარგებლოდ.

**თავრიზელების გაჭირვება**

„რუს. სლოვო“-ს კორესპონდენტი იუწყება: „სარწმუნო წყაროდან გავიგე, რომ თავრიზელები დიდს გაჭირვებაში არიან ჩაცვივნულნი, უკვე 10 თვეა, რაც თავრიზს ალყა აქვს შემორტყმული. ქალაქში მხოლოდ 8 ფურნეა, რომელიც მეტად ცოტა პურს აცხობენ. პურს აძლევენ მხოლოდ იმათ, ვისაც იარაღის ტარება შეუძლიან. რუსეთის კონსულს თავისთვის და საკონსულოს დამცველ რაზმისთვის სანოვაგე ბასმინჯადან-ეინუდ-დოვლეს ბანაკიდან მოსდის.

26 მარტს სათარ-ხანმა ზარბაზნის სროლა დაუწყო ეინუდ-დოვლეს ბანაკს ნეერენჯის პოზიციიდან. ეინუდ-დოვლემ მაშინვე მთელ თავის არტილერიასაც იმავე პოზიციის პირ მოუქცია თავი. ზარბაზნის ძლიერმა სროლამ რამდენსამე საათს გასტანა. ორსავ მხრის ზარალი ჯერ გამოკვლეული არაა“.

**სომხის ეპისკოპოსის თხოვნა.**

ფრანგულ გაზ. „ტან“-ს ატყობინებენ თავრიზიდან: აქაურმა სომხის ეპისკოპოსმა სთხოვა რუსის კონსულს: თუ შაჰის ჯარი აიღებს თავრიზს, აქაურ ქრისტიანებს მფარველობა გაუწიეთო. რუსეთის კონსულმა უპასუხა: ჩვენი შემწეობა არ დასჭირდებათ ქრისტიანებს, რადგან თუმცა თავრიზი უთუოდ დაჰქცევდება შაჰის ჯარს მაგრამ მაშინ შაჰის მომხრეები ესე იგი წესიერების პარტია ნებას არ მისცემს ჯარის კაცებს, რომ მათ რამე დაუშავონ ქრისტიანებსო. ამის შემდეგ სომხის ეპისკოპოსმა ასეთივე თხოვნით მიმართა ინგლისის კონსულს, რომელმაც დაარწმუნა ეპისკოპოსი, რომ შაჰის ჯარი თავის დღეში ვერ აიღებს თავრიზს და რომ შაჰი მალე იძულებული იქნება ნამდვილი კონსტიტუცია მისცეს ხალხსო. სომხის ეპისკოპოსმა ამის შემდეგ იმავ თხოვნით მიმართა საფრანგეთის კონსულს.

**რუსის სამხედრო გემები ენზელში.**

„ბაქუ“-ს ატყობინებენ ენზელიდან: აქ მოვიდა რუსეთის ორი სამხედრო გემი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ადგილობრივ სპარსელებში. ჰფიქრობენ, რომ სპარსეთის მთელი ხალხი და რევოლიუციონერი პარტიები ბეჯით პროტესტს გამოაცხადებენ რუსეთის წინააღმდეგო“.

**პანოვის მოქმედება.**

პანოვმა მეშედსერის და ბახრამის საბაჟოებში [illegible] დროებით საბაჟოებში [illegible] ლოდებით [illegible] ტელეგრაფის მავთული თეირანის და რუსეთს შორის.

**ბრძოლა თავრიზში.**

სომხურ გაზ. „გორც“-ს ატყობინებენ თავრიზიდან: „15 მარტს დიდი ბრძოლა მოხდა სათარ-ხანსა და სამად-ხანს შორის. 9 მარტიდან რევოლიუციონერები იერიშით წავიდნენ სამად-ხანის პოზიციებისაკენ. ზარბაზნის სროლა ჯერ სუსტი იყო, შუადღის დროს კი გაძლიერდა ყველგან, მთელ ბრძოლის ველზე. რევოლიუციონერები შვიდ პოზიციიდან იბრძოდნენ და ბოლოს ორი პოზიცია წაართვეს მტერსა.

რეაქციონერებს ყველაზე მეტი ზარალი მისცეს რევოლიუციონერების ხელით სასროლმა ყუმბარებმა. სამად-ხანს დიდი ზარალი მოუვიდა. სათარ-ხანის გამარჯვება სრული იქნებოდა, რევოლიუციონერებს რომ ჩვეულებრივი დაუდევრობა არ გამოეჩინათ და თავი არ დაენებებინათ ახლად დაჭერილ პოზიციებისათვის. რეაქციონერებმა ისარგებლეს ამით და ისევ დაიჭირეს ეს პოზიციები.

16 მარტს ნაშუადღევს ხელ-ახლად დაიწყო ზარბაზნის სროლა ორსავ მხარეს, მაგრამ 1 ნახევ. საათის შემდეგ სროლა შესწყდა.

რახიმ-ხანის ცხენოსნები ხელს უშლიან ფოსტის წესიერ მიმოსვლას თავრიზსა და რუსეთს შორის; ამიტომ აქაური ცნობები გვიან მოდის რუსეთში.

პეტერბურგში ცნობა მიიღეს ჯულფიდან, რომ უკანასკნელ ბრძოლაში თავრიზელ რევოლიუციონერებს 200 კაცი მოუკლეს, ხოლო შაჰის ჯარს 210 რევოლიუციონერებმა ოთხჯერ მიიტანეს იერიში მტერზე, მაგრამ რეაქციონერების ძლიერმა არტილერიამ უკან დაახევინა. რეაქციონერებს მეტი ზარბაზანი ჰქონდათ, ვიდრე სათარ-ხანს. შაჰის ჯარმაც მიიტანა იერიში, მაგრამ რევოლიუციონერებმა დიდის ზარალით უკუ-აგდეს იგიო.

**მეშედში.**

მეშედში დიდი უწესოებაა. იქაური რევოლიუციონერები ვერა ჰბედავენ ბეჯით მოქმედებას. დღე-ღამობით აქაიქ კანტი-კუნტად ჰაისმის თოფის სროლა. უპანოობა ძლიერდება.

## წარჩინებული გულ-მტკივნეულობა

ჟურნალ-გაზეთებში ბევრსა სწერენ იმის შესახებ, თუ როგორ ჩინებულად აწარმოებენ ამერიკელები აღზრდა-განათლების საქმეს. იქ, სადაც გადაჭარბებული ქებაა, მალე რეაქცია იჩენს თავს. თანდათან იგივე პრესსა არკვევს ამ უდროო ალტაცების ყალბ სარჩულს და სიმართლეს ნათელ ჰყოფს. ამ ბოლო დროს ირკვევა, რომ ამერიკის ბურჟუაზიაც იმავე გზას ადგია, როგორსაც ჩვენი თავად-აზნაურობა, ხოლო, რასაკვირველია მეტის ცოდნითა და გამჭრიახობით შეიარაღებული. იგი მეტ ყურადღებას აძლევს სკოლების გარეგნულ მხარეს, თვალსაჩინო ბრწყინვალებას, ვიდრე ბავშვების, მოწაფეების მდგომარეობას.

ამას წინად ამერიკულ გაზეთებში, სხვათა შორის, მოთავსებული იყო შემდეგი გულის ამაჩუყებელი ამბავი: „ერთ სუსხიან ზამთრის დილას ნიუ-იორკის ბრწყინვალედ მოწყობილ სკოლაში, ორთქლის მილებთან, რომლებითაც ამ სკოლას ათბობენ, იდგა საწყალი, გამხდარი პატარა ქალი, გულ-უბრყვილო, შავ-თვალებიანი და, სიცივისაგან გალურჯებულ, აკანკალებულ ხელებს მილებზე ითბობდა. პატარა ქალს ერთობ ღარიბად ეცვა ტანზე და მთელ იმის სახეს და გარეგნობას ის სევდა და უიმედობა ემჩნეოდა, რომელიც მხოლოდ დიდ მწუხარება და ტანჯვა-გამოვლილ ადამიანს ახასიათებს. როცა მან თავისი გაყინული ხელები გაითბო, მიუახლოვდა მასწავლებელი, რომელსაც პატარა ქალმა თვალები მიაპყრო და ჰკითხა:

— ერთი მიბრძანეთ, მასწავლებელო, გიყვართ თქვენ ღმერთი?

— რაღა მკითხავ, ჩემო კარგო? რასაკვირველია, მიყვარს,—გაკვირვებით უპასუხა მასწავლებელმა.

— კარგი, მე კი იგი მძულს, მძულს! ცხარედ მიუგო პატარა ქალმა:—იგი ცივ ქარს გვიგზავნის, მე კი ობოლი, ტანისამოსი არა მაქვს; იგი თოვლს გვიგზავნის, ჩემი ფეხსაცმელი კი გაცვეთილია; იგი ყინვას გვიგზავნის, ჩვენ კი არაფერი გვაქვს, რომ ოთახი გავათბოთ; იგი შიმშილს გვაიძულებს და დედაჩემს ერთი ნამცეცი პურიც არა აქვს, რომ დილით მაჭამოს. ოჰ, მე იგი მძულს, მძულს.

ამ პატარა ამბავმა ააშფოთა ამერიკის საზოგადოება. დანიშნეს კომისია სიმართლის გამოსარკვევად. მოთხრობილი ამბავი ნამდვილი გამოდგა. შემდეგ გამორკვეულ იქმნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ათი მილიონი კაცი სულმუდამ მწარე სიღარიბეში სცხოვრობს და სამი მილიონი სამასი ათასი ბავშვი მშიერი დადის სკოლაში. მარტო ქალაქ ნიუ-იორკში თითქმის 70 ათასი ბავშვი ან სრულებით მშიერი მიდის სკოლაში ან ისე დასუსტებულია საკმაო საჭმლის უქონლობისაგან, რომ ცოდნის შეთვისება არ შეუძლიან.

ამერიკის სკოლებში აღმოჩნდნენ ისეთი ბავშვები, რომელთაც ცხელი საჭმლის მონელება არ შეეძლოთ. მცენარის მხოლოდ წვრილი ღერი ღა ამოჩხირულიყო, რამდენიმე საცოდავი ფოთლით შემკული.

მანდილოსნებმა დაინახეს ეს საცოდავი სანახავი და ბავშვების დარცხვენილი სახეები და ატირდნენ. მწარედ სტიროდნენ ისინი, არა იმიტომა რომ ამ ყვავილებმა უამბეს მათ ერთბაშად ყველაფერი, რაც ამ ერთი წლის განმავლობაში უნახავთ, მთელი ის მწუხარება, უიმედობა და საზარლება, რომელსაც ადამიანები ებრძოდნენ დღითი დღე,—არა, მხოლოდ იმიტომ რომ ებრალებოდათ ეს დაღუპული ნორჩი, მწვანე ფოთლები, ეს ნაზი ქორფა ყვავილები, რომლებიც დაღუპა ამ საძაგელ, ბრიყვ და ზნე-დაცემულ ბავშვების გულ-გრილობამ.

მხოლოდ ზოგიერთმა მანდილოსანმა ოდნავ ყური ათხოვა აღსაზრდელად დარიგებულ ყვავილების დაღუპვის ამბავს.

— ჩვენ ისეთი ბნელი ოთახი გვაქვს, ქალბატონო, სადაც როგორც ამბობენ, ყვავილი ვერ ხარობს, და ჩემი ყვავილი მოკვდა,—ამბობდა ერთი ბავშვი.

— როცა ყვავილი სახლში მივიტანე,—ამბობდა მეორე,—ყველანი შევხაროდით და ვამაყობდით ამ საჩუქრით. დედა ჩემმა ფანჯარაზე დადგა იგი. ქუჩაში მოსიარულენიც სტკბებოდნენ ამ ყვავილის სანახაობით. ჩვენი პაწიაც, რომელიც მოსვენებას არ აძლევს დედა ჩემს, იმ დროს, როცა იგი სარეცხს რეცხავს, გაართო ამ ყვავილმა: იგი აღარ ყვიროდა და დედა ჩემი ამბობდა, ეს მცენარე ნამდვილი ღვთისაგან კურთხეული განძიაო. შემდეგ კი, როცა ზამთარი მოვიდა, უეცრად ფოთლები დასცვივდა, ყვავილები დაეკარგა და სიკვდილის პირზე მიდგა. დედა ჩემი ამბობდა, ეს იმიტომ მოუვიდა, რომ ჩვენ ოთახში ძრიელ ცივა და მზე არ ანათებსო. დედა ჩემს გაუჭირდა საქმე, ყვავილი აღარ ართობდა ჩვენ პაწიას წინანდებურად და მას გაბმულად სარეცხის რეცხა აღარ შეეძლო... როცა სითბო დადგა, გაზაფხული მოვიდა, მე გულ-მოდგინედ რწყვა დაუწყე ყვავილს და იგი ოდნავ თითქო გამოცოცხლდა. დედა ჩემი კი ცოტას მელაპარაკებოდა, სულ ტიროდა. ჩვენი პაწია სულ ავად იყო და ექიმმა სთქვა, უნდა საჩქაროდ წაიყვანოთ სოფელში, სადაც სუფთა ჰაერი და მზე უხვად ანათებს, თორემ უამისოდ ვერ იცოცხლებსო. დედა ჩემს ფული არა ჰქონდა, ჩვენ ამ ოთახის ქირაც გვემართა და წასვლა არ შეგვეძლო, და ჩვენი პაწია მალე მოკვდა. მე მაინც ვრწყავდი ყვავილს და ის ფოთლები, რომლებიც ოდნავ გაიშალნენ, მალე ჩამოცვივდნენ და ყვავილი მოკვდა. დედა ჩემი ამბობს, ალბად იმიტომ მოუვიდა, რომ ჩვენ მზე არ გვიყურებს და ჰაერი გვაკლია, ჩვენი პაწიაც ამისაგან მოკვდაო.

ბავშვებისაგან მოთხრობილი ამბები ერთი მეორეზე უფრო მწუხარე. ერთ ბავშვს სკოლაში გული წაუვიდა და როცა გონზე მოიყვანეს და კარაქ-წასმული პური და ცხელი რძე მისცეს ხარბად დაიწყო ჭამა, მაგრამ მალე პირიდან საჭმლობა აუტყდა. მაშინ ბავშვმა სთხოვა მასწავლებელს, მარტო პური ეჭამათ მისთვის, და პირიდან საჭმობა შესწყდა. აღმოჩნდა, რომ ბავშვის კუჭი მარტო ხმელ საჭმელს, მხოლოდ პურს იყო ჩვეული და თბილი რძისა და სხვა ნოყიერ საჭმლის მონელება არ შეეძლო.

განა საკვირველია, რომ ღარიბ, საწყალ ბავშვს ხასიათი გაუფუჭდეს, ზნეობა გაერყვნას?

ნიუ-იორკის ღარიბ ბავშვებს შორის გავრცელებულმა ზნე-დაცემულობამ სევდა მოჰფინა იქაურ მდიდარ და წარჩინებულ მანდილოსანთა ტკბილ-მგრძნობიარე გულს და იმათ, როგორც მოგვითხრობს ჟურნალი „სვობოდნოე ვოსპიტანიე“, გადასწყვიტეს რაიმე ღონე იღონონ და, რადგან მათი ბავშვები ნორჩ ყვავილებსა ჰგვანან, მოიწადინეს უზნეო ღარიბ ბავშვების განკურნვა... ყვავილების საშუალებით იმათ არ დაზოგეს ფული, იყიდეს ყოველნაირი ყვავილები ქოთნებით და ერთ მშვენიერ დღეს მთელი ეს აყვავებული მცენარეები ნიუ-იორკის დიდ სახალხო სკოლებში მიიტანეს. დაურიგეს თითო ქოთანი ყველა ბავშვს და უთხრეს, გაის ამ დროს ისევ მოიტანეთ აქ ეს ყვავილები, ჩვენ დავათვალიერებთ და ვისაც შევატყობთ, რომ ყვავილისათვის ერთგულად მოუვლია, საჩუქარს მივცემთო.

ბავშვები ჯარად იდგნენ ამ მშვენიერ მანდილოსანთა ირგვლივ, რომელთა აბრეშუმის კაბებს ახალი საამური შრიალი გაჰქონდა და ასეთი საამური და მათთვის უჩვევი სუნი სდიოდა. ბავშვებმა წაიღეს მშვენიერი ყვავილები. თვალები სიხარულით ჰქონდათ განათებული, რადგან შეძლება მიეცათ ასეთი საუცხოო საჩუქარი შინ წაეღოთ, და საჩქაროდ გაეშურნენ შინისაკენ ქოთნებით ხელში.

„მაშ იცოდეთ, ბავშვებო,—არიგებდნენ იმათ საყვარელი მანდილოსნები“,—კარგად შეინახეთ ეს ყვავილები, მორწყეთ, მოუარეთ, შეიყვარეთ, ისინიც ხომ ჩვენსავით სცოცხლობენ „და ერთი წლის შემდეგ ჩემგან საჩუქარს მიიღებთ“.

გავიდა ერთი წელიწადი და დადგა დანიშნული დღე, როცა ბავშვებს ყვავილები ისევ სკოლაში უნდა მიეტანათ მანდილოსანთა დასათვალიერებლად. სკოლის კარებთან ყოველ წუთში მოდიოდა ახალ-ახალი ავტომობილები, რომლებიდან მდიდრულად მორთული ქალები გამოდიოდნენ. ყველა ბავშვს არ შეეძლო ისევ მოეტანა სკოლაში მიღებული ყვავილი. ბევრი ვერ გაუძლო სიღარიბესთან ბრძოლას და გამოესალმა ამ წუთი სოფელს. იმ ყვავილებს კი, რომლებიც ბავშვებმა მოიტანეს, უმრავლესად საცოდავი სანახაობა ჰქონდა. ზოგიერთ ქოთანში გამხდარ და დამსკდარ მიწიდან რე იყო.

ამ ჟამად, როცა ჩვენ ბრწყინვალე ქართულ სასახლე-გიმნაზიას შევყურებ ხშირად მაგონდება ეს სამწუხარო ამბავი და თვალ-წინ მეხატება ჩვენი წარჩინებული მანდილოსნები, რომელნიც, თავიანთ ამერიკულ თანამოაზრეთა მსგავსად, იმედია მალე ეწვევიან ამ გარედან ბრწყინვალე სკოლა-სასახლეს და იქ მოსწავლე საწყალ და მშიერ ბავშვებს ყვავილებით გაუმასპინძლდებიან.

ილია ნაკაშიძე.

# მცირედი ამბები

**ოზურგეთი.** რა აღტაცებით მოველოდით ოზურგეთის გამოცოცხლებას. მკითხველებსაც გაცნობე, რომ ოზურგეთი იცვლება, ქალაქის თავის არჩევით თვითმართველობაც განახლდა და სულ ახალ გზას დაადგა მეთქი, მაგრამ ეს ყველაფერი ოცნება ყოფილა. თურმე ამ ჩვენ საცოდავ ქალაქს არაფერი არ ეშველება, თითქოს დაწყევლილია, რომ აქ არაფერმა კეთილმა საქმემ არ იხეიროს. უკანასკნელ წერილში ვწერდი, რომ სიტყვიდან მგონი საქმეს შეუდგნენ მეთქი. ეხლა რომ ვაკვირდები, სულ სხვა გამოდის, ისევ სიტყვები და სხვა არაფერი. იმასაც მოელვენ, ამასაც, მაგრამ ყველაფერი დაუბოლავებელი რჩება რას მივაწეროთ ეს? ალბად იმას, რომ ჩვენ ფიცხი ხალხი ვართ, უცბად ავენთებით, მაგრამ უცბადვე გავნელდებით და გუშინ რომ საქმისთვის თავსა ვდებდით, დღეს უკვე ვივიწყებთ. იქნებ ბევრმა სიჩქარეში ჩამომართვას საყვედური, მაგრამ, ჩემის აზრით, დრო იყო, რამე გაკეთებულიყო. დაწყებულ საქმეს ნაყოფიც უნდა გამოეღო, ესე იგი ბოლომდე მისულიყო. ავიღოთ თუ გინდ აქაურ სამკითხველოს განახლება. ვწერდი, საცოდავ სამკითხველოს ფეხზე წამოყენება ეღირსება-მეთქი, მაგრამ თურმე აქაც სიტყვები, მხოლოდ სიტყვები. ჯერ-ჯერობით თანხა არის და შენობაც უკვე თვეა მზადაა, მაგრამ მაგრამ მაინც ვერ ვეღირსეთ იმის გახსნას. რატომ? იმიტომ რომ გამგეობა თავს არ იდებს, არ უნდა დააჩქაროს ეს საქმე. სათითაოდ რომ ჰკითხო ყველას, გეტყვიან, ასე ჩქარა როგორ შეიძლებაო. თუ დამზადებულ და ამისთანა ადვილ საქმეს ასე აჭიანურებენ, სხვა რაღა იქნება!

თვით-მმართველობის საქმეებიც დიდ კრიზისს განიცდიან. დაუქირავებიათ 5 მწერალი და ჯამაგირს კი არც ერთს თავის დროზე არ აძლევენ. ზოგს სამი თვისაც აუღებელი აქვთ. მოსამსახურე ბიჭს, მაგალითად, სამი თვის ჯამაგირი არ აუღია და ერთი სცენა იყო ამ უქმეების დროს, როდესაც ემუდარებოდა, მეც ცოლ-შვილის პატრონი ვარო და აღდგომა რით გავითენოო. უცაბედად წავაწყდი ამნაირ სცენას: 29 მანეთს და რამდენსამე კაპეიკს ურიგებდნენ 40 კაცს. თითოს ერთი მეორეზე 5 მანეთი მაინც ჰქონდა ასაღები. შეკრებილნი დიდის ხვეწნითა და გინებით დაიშალნენ.

გ ჭ ლელი.

**გორი.** სამასწავლებლო სემინარიის მთავრობამ წინადადება მისცა ქალაქის გამგეობას, სემინარიის შენობისთვის 5 დესეტინა ადგილი მოგვეციო. ქალაქის გამგეობას თავისუფალი ადგილი მარტო ყაზარმების მახლობლად აქვს და აქ მიუთითა სემინარიის მთავრობას, რომელმაც, რასაკვირველია ადგილი დაიწუნა, მით უმეტეს ეხლანდელს დირექტორს სემინარიისას დიდი ხანია უნდა სემინარიის გორიდან გადატანა. ამ აზრს ემხრობიან თათრის განყოფილების ხელმძღვანელი თათარი მასწავლებლები და სურთ ეს სასწავლებელი გორს მოაშორონ და აღმოსავლეთ კავკასიაში გადაიტანონ. ასეთი სურვილი თათრებისა დიდადაც ბუნებრივად და კანონიერად მიგვაჩნია, მაგრამ იმ დაწესებულებს რად ავიწყდებათ—გორში არსებობს სემინარია ადგილობრივ მკვიდრთათვის და მასთან გახსნილია თათრული განყოფილება. თუ შესაძლებელია რისამე გადატანა აღმოსავლეთ კავკასიაში—მარტო თათრულ განყოფილებისა. ხოლო თვით სემინარია გორში უნდა დარჩეს და თუ ეს ასე მოხდა, იმ შემთხვევაში თათრებმა უნდა იზრუნონ ჯერ იმაზე, რომ დამოუკიდებელ სემინარიისათვის საჭირო მეტი ხარჯი გაიღონ და მერე იმაზე, რომ შენობისათვისაც საჭირო თანხა მოიპოვონ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ მთავრობის მიერ გადადებული ფული შენობის ასაგებად გორის სემინარიას უნდა მოხმარდეს. ამ ჟამად თათრულ განყოფილებაზე იხარჯება 18,000 მანეთი, რაც მარტო პანსიონერების შენახვას ჰყოფნის, ხოლო დანარჩენ ხარჯს უწევიან სემინარიის საერთო ბიუჯეტიდან. აი ეს ხარჯი იტვირთონ დაწესებულებმა და წაიღონ სადაც უნდათ თავიანთი განყოფილება, ხოლო მთლად სემინარიის გადატანა გორიდან იმის გარდა, რომ უსამართლოა, ყოველს აზრსაც მოკლებულია.

სემინარიის დირექტორ მარკოზიევზე რაღა ვთქვათ, მას ერთი სურვილი ამოქმედებს—მოშორდეს გორს, სადაც დიდი სიყვარული საზოგადოებისა ვერ დაიმსახურა, და ტფილისში მოიკალათოს.

ქალაქმა თავის მხრით, ჩვენის აზრით, ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ სემინარიის შენობას ადგილი მოუპოვოს, თორემ ამ გარემოებას საბაბად გაიხდიან და სემინარიას გადაიტანებენ სადმე და მერე თითზე კბენა გვიანღა იქნება.

# ეგნატე ნინოშვილის

### ძეგლის აგების გამო.

„ჯეჯილის“ რედაქციამ მიიღო ეგნატე ნინოშვილის ძეგლისთვის შეგროვილი: ნიკოლოზ სიხარულიძის მიერ 4 მ. 60 კ. შემდეგ პირებისაგან: ათ-ათი შაური აბ. მექაძესი, ი. სანადირაძესი, მ. ადეიშვილისა, ბ. მახარაძესი და შალვა სიხარულიძესი. ორ ორი აბაზი: ალ. სიხარულიძესი და ფედ. სიხარულიძესი. ექვსი შაური: აქს. სიხარულიძესი და თითო აბაზი: ი. ბურკაძესი, ვ. მახარაძესი, ვ. ჯარბაძესი აფ. სიხარულიძესი და იორდ. ბერძენიშვილისა. სოხუმიდან 4 მ. საჩინო და ფეოდოსია თურქიასაგან 3 მან. და 1 მან. ციცებაცა და განიასაგან. სამსონ ფირცხალავამ გადმოგვცა 20 მან. ალ. ყიფშიძისაგან 3 მ. ოდესის ქართველ სტუდენტებისაგან 15 მან., ნატროშვილისაგან 1 მ. და ათ-ათი შაური ელ. ნატრაძესაგან და შ. დედაბრიშვილისაგან. სულ 28 მ. 60 კ.

დღემდე შემოსულიყო 318 მ. 70 კ. ამითი შესდგა **347** მან. **30** კ.

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** ამ დღესასწაულებში ქართულმა დასმა გამართა მხოლოდ ერთი წარმოდგენა, 31 მარტს, მაგრამ ამ წარმოდგენასაც მეტად ცოტა ხალხი დაესწრო. რომ მოწაფეები არა, თეატრი მთლად ცარიელი იქნებოდა. ამ საღამოს წარმოადგინეს კ. მესხის ისტორიული პიესა „შოთა-რუსთაველი“. პიესა საერთოდ მე ეწონათ დამსწრეთ. მოთამაშეთა შორის უფრო ვრესად ყურადღება მიიქცეს ქ-ნმა დავითაშვილისამ („თამარ-მეფე“), ბ-ნებმა დადიანმა (შოთა-რუსთაველი), ყალაბეგიშვილმა (ლიპარიტ ორბელიანი), ბარველმა (მალხაზი) და მურუსიძემ.

სცენების მხრივ „შოთა-რუსთაველი“ საკმაოდ სუსტი პიესაა, და ეს სისუსტე ჩვენს სცენაზედ უფრო გაარკვევეს. რომ ჩვენი სცენა საერთოდ ღარიბია—ეს ვიცით, მაგრამ ისეთი მწირის ამალის გამოყვანა დიდებულ თამარის დროის დასასურათებლად, როგორიც ამ საღამოს ვიხილეთ, სამწუხაროდ ძალა-უნებურად ღიმილსა ჰგვრის მაყურებელს. ზოგიერთ „წარჩინებულისთვის“ სრულიად დავიწყებოდათ თავის ხნოვანებისა და მდგომარეობის შესაფერი, „გრიმი“ მაინც გაეკეთებიათ, და თვალწინ ნაცნობ ჭაბუკთა სახეებსა ვჭვრეტდით. ისტორიულ პიესებს ამ გვარი თავისებურობა კარგ სამსახურს ვერ გაუწევს.

ამ პიესის შემდეგ ცოცხლად ითამაშეს ვ. გუნიას „არივ-დარია“.

სუფლიორი ამ საღამოს ძლიერ ამოხმით ლაპარაკობდა. მიუხედავად მრავალ გაფრთხილებისა, ამ ნაკლმა ბოლომდე გასტანა.

ქალაქში „პროჟექტორების“ გამრავლების შემდეგ ელექტრონის სინათლეს თან და თან ძალა აკლდება და ცუდლუტობას ეჩვევა. განათებულ თეატრის დარბაზი ან სცენა ერთბაშად ისე მიიბნიტება ხოლმე, რომ მსახიობნი ძლივს ღა მოსჩანან სცენაზედ.

ისეთი უადგილო „ეფექტები“ მეტად ხელს უწყობს უსიამოვნო შთაბეჭდილებას.

თეატრის გამგეებმა აუცილებლად ყურადღება უნდა მიაქციონ ამ გარემოებას.

ჯაფარ-ფაშა.

# რუსეთი

✦ **ძველის „ცოდვებისათვის“.** ამ ბოლო დროს სინოდში ბევრი შეკითხვა მიდის სხვა და სხვა აკადემიიდან. შეკითხვები ეხება იმ სასტიკ ღონისძიებებს, რომელიც განზრახული ჰქონია უმაღლეს სასულიერო მთავრობას ოდესღაც „კრამოლნიკურ“ პროფესორების შესახებ. ყველა ის პროფესორები, რომელნიც დასათხოვნად დანიშნულნი არიან, ძველი „ცოდვებისთვის“ ისჯებიან. ბევრ მათგანს მთელ საპროფესორო მოღვაწეობისათვის ედება ბრალი. ამ დღეებში პეტერბურგიდან წავიდა დასათხოვად ჩანიშნული ყაზანის აკადემიის პროფესორი ბლაგოვიდოვი, რომელიც თავის ბედის გასაგებად ჩასულა პეტერბურგს. მთელი ბრალი ბლაგოვიდოვისა ამ ათის წლის წინად დაწერილი დისსერტაციაა ამ თემაზედ: „სინოდის ობერ-პროკურორები მეთვრამეტე და მეცხრამეტე (მე-XVIII და XIX-ე) საუკუნოებში“. იმ დროს ყაზანის აკადემიაში რექტორად ცნობილი ვოლინის მთავარ-ეპისკოპოსი ანტონი იყო. ისა და მაშინდელი ობერ-პროკურორი პობედონოსცევი გადამტერებულები იყვნენ და ამიტომ აქეზებდა ბლაგოვიდოვს, ამ თემაზე დისსერტაცია დაეწერა. ბლაგოვიდოვმა მართმადიდებელ თვალსაზრისით ობერ-პროკურორობის დაწესებულება სასტიკ კრიტიკაში გაატარა. ფაქტებით ამტკიცებდა—ობერ-პროკურორობა მართმადიდებელ ეკკლესიაში არა თუ შემთხვევითი და არა ბუნებრივი მოვლენაა, არამედ სრულიად უსარგებლო და მასთან მავნებელიცაო.

✦ **წიგნების ვაჭრობა.** რუსეთის გაზეთების სიტყვით, წიგნებით ვაჭრობა ამ ბოლო დროს დიდს გასაჭირშია თურმე. გამომცემლები ვერ მიმხვდარან—რა იპყრობს დღევანდელი მკითხველის ყურადღებას. ანდრეევისა, სოლოგუბისა და ცოტაოდნად კუპრინის გარდა, არავის ბელეტრისტული ნაწარმოები აღარ იყიდება. თარგმანების საქმეც ვერ არის კარგად. ვედეკინდმა, შნიცლერმა, პრევომ, ზუდერმანმა და, მით უმეტეს, სხვა უმნიშვნელო მწერლებმა სრულიად დაჰკარგეს მკითხველი. სხვასთან შედარებით ოსკარ უაილდს უფრო სწყალობს ბედი: იმის ნაწერების იაფი გამოცემები ბლომად იყიდება. გამომცემლები სცდილობენ ხელოვნურად აამოძრაონ წიგნის ბაზარი. ამით აიხსნება უკანასკნელ დროს აუარებელ კრებულების გამოცემა. მაგრამ ამ კრებულებსაც არა აქვს გასავალი. კრიტიკულ ნაწარმოებთა მოთხოვნილება ხომ სრულიად დაეცა.

✦ **„გლეხთა კრება“.** რუსის ხალხის კავშირის მთავარი საბჭო გლეხთა კრების გამართვას აპირებს მოსკოვში. მას ეწოდება „რუსის ხალხის კავშირის სრულიად რუსეთის გლეხთა კრება“. მთავარ საბჭოს წევრნი მოხსენებებს ამზადებენ, რომლებითაც ჰხსნიან მიწების იძულებით ჩამორთმევის მავნებლობას. აპირებენ აგრეთვე, შუამდგომლობის აღძვრას იმის შესახებ, რომ საგლეხო ბანკებმა მამულები სახაზინოდ იყიდონ და მერე თვით ბანკმა გაუნაწილოს გლეხებს ფასით.

✦ **„მე ესე მსურს“.** ერთი კვირის წინად ოდესაში ტრამვაიმ სალდათი გაჰყლიტა. ოდესის გენერალ-გუბერნატორმა ტოლმაჩევმა ამის გამო მთელი რევიზია დანიშნა, მაგრამ რევიზიამ ვატმანის გამამტყუნებელი საბუთი ვერა ნახა. ტოლმაჩევმა მაინც დააპატიმრა ვატმანი. როდესაც ტრამვაის დირექცია შეჰკითხებია, რად დააპატიმრეთ ვატმანიო, გენერალ-გუბერნატორ ტოლმაჩევს უპასუხნია: მე ესე მსურს. ვატმანი „ჟიდიაო“. ფაქტი თავის-თავად უმნიშვნელოა, მაგრამ ეს კარგად ახასიათებს რუსეთის ეხლანდელ მდგომარეობას.

✦ **დმოვსკის დაბრუნება.** ამ რამდენიმე ხნის წინად ხმა გავრცელდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი და პოლონურ კოლოს ლიდერი დმოვსკი ისევ დაბრუნდება სათათბიროშიო. იმასაც კი ამბობდნენ, რომ დმოვსკის ამომრჩევლებმა სთხოვეს დაბრუნებაო, გაზ. „ვარშავ. გოლ.“-ს სიტყვით, ეს ხმა მოკლებულია ყოველსავე საფუძველს: არც ამომრჩევლებს მიუმართავთ დმოვსკისთვის და არც თითონ განუცხადებია ამისი სურვილიო.

✦ **პოლონელი მასწავლებლები ხოლმში.** „რეჩ“-ის სიტყვით, მთავრობას უკვე გადაუწყვეტია, ხოლმის ყველა სკოლა კიევის სასწავლო ოლქს შეუერთოს და ამ ოლქის მზრუნველს დაუქვემდებაროს. საინტერესო ის არის, რომ აქაურ სასწავლებლის ყველა პოლონელ მასწავლებელს პოლონეთის სხვა გუბერნიებში გადაიყვანენ, ხოლო მათ ადგილას რუსებს დანიშნავენ.

### წერილი რედაქციის მიმართ.

გაზეთ „დროების“ მე-26 ნომერში მოთავსებულ წერილის გამო, რომლის ავტორიც ლ. ნაცვლიშვილი სხვა და სხვა ცილსა მწამებდა, მე სიმართლის აღსადგენად და ნამდვილ „ციხის გამტეხების“ აღმოსაჩენად, სამედიატორო სამართალში გამოვიწვიე ჩემი ბრალმდებელი ბ-ნი ნიკ. აბზიანიძე. სასამართლოში გამოსვლაზე მან უარი განაცხადა, რაიც მაუწყა ჩემს მიერ გაგზავნილ მოციქულის მასწ. გ. გიორგაძის, პირით. შემდეგ მე თვითონ წავედი და ორი პირის თანადასწრებით (ვლადიმერ ნაცვლიშვილისა და ი. კაკაბაძის) წინადადება მივეცი აბზიანიძეს, გამომყოლოდა სამედიატორო სამართალში და თავის მხრივ დაესახელებინა ორი კაცი. ბ-ნმა აბზიანიძემ უარი განაცხადა სასამართლოში გამოსვლაზე და ასე მიპასუხა: „მე არა... შენ..., მე არავითარ ბრალს არა გდებ, მთელი ალიაქოთი და ისტორია ნ. მესხმა ასტეხაო, მან შემიყვანა შეცდომაში და შენ მე კი არა, ის გამოიწვიე სამართალშიო“. ბ-ნ ნაცვლიშვილს (წერილის ავტორს) ხელ-წერილი ჩამოვართვი, რომლითაც მან დამიდასტურა აბზიანიძის ზემოხსენებული პასუხი ჩემს წინადადებაზე სასამართლოში გამოსვლის შესახებ. ნ. მესხი უკანასკნელ დროს ჩემს ბრალმდებლად არ გამოსულა. ჩემი ბრალმდებელი იყო ნ. აბზიანიძე და თუ ამ უკანასკნელს უნდოდა სინამდვილის გამორკვევა, აუცილებლად უნდა დასთანხმებულიყო სასამართლოში გამოსვლაზე. ამნაირად იქცევია ჩემი მოწინააღმდეგენი, ყალბ წერილის მოთავსების შემდეგ. მათ უნდოდათ, ჩემთვის ჩირქი მოეცხოთ და პაწაწკინტელა მასწავლებელთა წრე სრულიად მოესპოთ, ვინაიდან ბ. ნაცვლიშვილის წერილსაც, როგორც მე ვიცი ზოგიერთი წყაროებიდან, წილი უდევს ჩემი საქმის არა სასიამოვნოდ დაბოლოებაში.

ეხლა მე იძულებული ვარ მესამედ და უკანასკნელად გამოვიწვიო ბ. აბზიანიძე და, რაკი მას ნებავს, ნ. მესხიც სამედიატორო სამართალში, დღიდან ამ წერილის გამოქვეყნებისა ოთხი დღის განმავლობაში. წინადადება ეძლევა აღნიშნულ პირებს დაასახელონ თავიანთ მხრივ ორი კაცი. ჩემს ადრესს შევატყობინებთ მათ, რათა მაცნობონ, თანახმანი არიან თუ არა გამოარკვიონ საქმის ვითარება. ბ-ნ ნაცვლიშვილი სწერს თავის წერილში—„როგორც გავიგე ისე დასწერეო“ და ეხლა იმედია მიიღებს ზომებს და დაითანხმებს ბ. აბზიანიძეს სამართალში გამოსვლაზე და მაშინ დასწეროს, თუ როგორ იყო საჭირო საქმის გამოკვლევა... თანახმა არიან თუ არა სასამართლოში გამოსვლაზე, მე პირდაპირ შემომითვალონ მოწინააღმდეგეებმა ან მოციქულის პირით ან წერილს საშუალებით და თან აღნიშნონ, ვის ნიშნავენ მოსამართლეებად თავიანთ მხრივ...*).

ვას. ბურჯანაძე.

*) რედაქცია თავის გაზეთში სამედიატორო სასამართლოში საქმის გარჩევამდე სპობს ამ საგანზე პოლემიკას. რედ.


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბებიაობს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევაშოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—6.—37)

პირველი ქერძო სამკურნალო
**დოქტ. ნავასარდიანისა**
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა

დ ი ლ ი თ:

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.

**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახევ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
(წ.—1—60)



1/5

კავკასიის ამხ—ბა სათესლე მეურნეობისა
**კვეეს და ამხ.-ბა**
ტფილისი, მიხეილის პრ., 55., ჰყიდის: უმაღლეს თვისების საბოსტნე, საყვავილე და სასოფლო-სამეურნეო თესლეულობას.
თესლი იუნჯისა, საუკეთესო თვისებისა, 1 ფუთი—17 მანეთად, 1 გირვანქა—50 კაპ.
**პრეის-კურანტი უფასოდ.**
(10—ხალ.—10)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.

რედაქტორ-გამომცემელი ი. ს. აგლაძე.